


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში,
ბეჭდით ბეჭდუდი სიფყვას,
ფეხილებით და ჭბრებით ბუძის
გაფანა ყულა უჯარბისდბაგ
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

სუთხაბათი, **22** აგვისტო, 2013 წელი.
№160 (7287)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

ჭირი დანახული ჯოგს

სააკაუვილის უნამუსობა უკიდებანოა!..



გუნებაში ისეთი ცხოველებიც არიან და მცენარეებიც, დროისა და ვითარების მიხედვით ფერსა და გარეგნობას რომ იცვლიან. ბევრი ადამიანი სწორედ ამ ცხოველების წარმომადგენელია, რომელიც დროისა და ვითარების მიხედვით ვითომ იცვლება, მაგრამ სინამდვილეში იგივეა – ბოროტი კარიერისტი, თუ დასჭირდა გვამებზე მავალიც... მაგრამ ახლა უფრო „კეთილშობილდება“, თუმცა, ისტიბარს მაინც არ იტყნს... და თავისივე მიერ გაბინძურებული ნაპირიდან გამოდბა გვედავება, როგორც ეს შუბლისძარღვგანწყვეტილ უნამუსო ადამიანებს სჩვევიათ...

ნაციონალუბო!
მართალია, სააკაუვილი
პრესას არ კითხულობს,
მაგრამ ეს წერილი
გაინს წააკითხეთ!

სააკაუვილის უნამუსობა რომ უკიდებანო და ზღვარდაუდებელია, ეს ჩემი სუბიექტური აზრი არ არის. ამ აზრისაა დღეს თითქმის მთელი საქართველო, რომლის დიდი უმრავლესობა უკვე ტელევიზორსაც კი რთავს, როცა ეკრანზე ეს ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი ჩნდება. ალბათ, ამასაც განსაკუთრებული ნიჭი უნდა, რომ ხალხს აგრერიგად არა მარტო შეაძულო, არამედ შეაზიზლო კიდევ თავი. სააკაუვილი ამ მხრივ გამორჩეულად ნიჭიერი გამოდგა. ტყუილებს ხომ ნულა იტყვით! უნამუსობის, თანაც უკიდებანო უნამუსობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მახასიათებელია სწორედ ხორცისა და სულის მავნებელი სიცრუე და ორპირობა, რასაც თითქმის მთელი ათი წელიწადი ვენიერებოდით ამ მართლაცდა ჩვენი უჭკუობით (პირდაპირ უნდა ვთქვათ!) გაპრეზიდენტებული მზაკვარი კაცის ანტიხალხური და ანტიეროვნული პოლიტიკის პირობებში. რასაკვირველია, არც თავად დავიწყებია და ისიც იცის, რომ არც ჩვენ, ხალხს, გვიგულმავინცია, რა დღეშიც ჩააგდო მან ქართული მედია, მაგრამ ახლა გამოდის და ჩვეული უსირცხვილობით იბრტყელებს ენას, თუ როგორ აგვავდა ქართული პრესა და ქართული ტელევიზია დიანაც 2003 წლიდან მოკიდებული, დიანაც უშუალოდ ამ ხანისა და ხან ასე, მანამც კაცის ძალისხმევით... არადა, დღესაც ყურში ჩავვსემის სააკაუვილიურად მე ვარ და ჩემი ნაბადის ანტისახელმწიფოებრივი პოზიციიდან ნათქვამი: მე ქართულ პრესას არ ვკითხულობ! მე მხოლოდ ტელევიზიით ვმართავ ქვეყანას! (როგორც მართავდა, ეს დღეს მზესავით ნათელია!)... არადა, დღესაც თვალწინ გვიდგას 2007 წელი, როცა

ამ ავი „ხელმწიფის“ პირდაპირი ბრძანებით გამოცემლობა „სამშობლოდან“ ათობით რედაქცია მთელი პოლიციური სისასტიკით ქუჩაში გამოაგდეს, იმის მაგივრად, რომ პრესა გვერდით დაეყენებინა და პრესასთან ერთად მართლა სახელმწიფოებრივად ემართა ქვეყანა! სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სააკაუვილს ეს ბოროტი დანაშაულიც ეყოფა იმისთვის, რომ განსასჯელის სკამზე ვიხილოთ როგორც **მულუნტარისტი დამრბავი**.

რახან დარბევა ვახსენეთ, ისიც თვალწინ გვიდგას, რაც 2007 წელსვე ტელეკომპანია „იმედიში“ მოხდა. მოხდენით კი ის მოხდა, რომ სააკაუვილისთვის მიუღებელ ხსენებულ კომპანიაში სამხედრო ოპერაცია განხორციელდა, რაც მართლაც **პოლიტიკური ტერორი** იყო სააკაუვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბანდის მეთაურობით, რის შედეგადაც „იმედი“ არა მარტო დაიხურა, არამედ განადგურდა კიდევ.

და ეს ავი კაცი, პოლიტიკური შანტაჟისტი, საღისტი და დემაგოგი, გამოდის ახლა, როცა პოლიტიკური სიცოცხლის ორი პარასკევილა დარჩენია, და ცდილობს, რომ თავი ქართული სატელევიზიო სივრცისა და ქართული პრესის დამცველად მოგვაჩვენოს...

როცა ციხის ცნობილი საშინელი კადრები აჩვენეს, თავის ფარაონის სასახლეში წამოსკუბულმა (რომ შეიძლებოდა, ამ სასახლეს მოიკიდებდა და თან წაიღებდა, როგორც ტრიბუნას, რომელიც ახლაც მუდამ თან დაატქს!) საქვეყნოდ განაცხადა, **ის სისტემური დანახულიაო**, მაგრამ ახლა აქეთ „გვარწმუნებს“, მე-9 არხი ერთი კონკრეტული რეჟისორის – ვლადიმერ ბედუკაძის მიერ გადაღებული ფილმის გასაშვებად შექმნილი არხი იყო. ეს კადრები, რომლებიც ბედუკაძემ გადაიღო, მეცხრე არხის მფლობელს უკვე ჰქონდა მფლობელობაში, მინიმუმ 2011 წლის ზაფხულში, როცა პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტაო... **აი ასე უსინდისოდ და უსირცხვილოდ ათმთრავს იგი თავის შავ-განულ წარსულს, როგორც ფულს** (რაც, ალბათ, თვით ივანიშვილზე ნაკლები არა აქვს!) **ის მართლაც პოლიტიკური ნახვია ამოსული ნახვიალი პრეზიდენტი, რომელიც არც ისე უჭკუოა, რომ არ იცოდეს – თუ ახალმა ხელისუფლებამ ამერიკელი ბოროტების მხარდამართის გამო პასუხი არ აგაბინა, ხალხი აუცილებლად მოსთხოვს პასუხს და ისე მოსთხოვს, რომ საშვილიშვილოდ დაახსომდება.**

აი, რატომ ძვრება იგი გველის ხერხეში, რათა როგორმე გაიკეთილშობილოს ბოროტი თავი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ამაოდ ირჯება. მან იმდენი სიმწარე აჩვენა ხალხს ამ ათი წლის განმავლობაში, ის იმდენად უსამართლოდ მწარე გამოდგა, რომ ხალხი არასდროს არ ჩაყლაპავს ამ სიმწარეს და აუცილებლად გადმოაფურთხებს!..

ბურაბ ნიკლაური

პრემიერის ნახვის სურვილი ბრძოლის ველიდან გაქცევის კვალი!


8 აუუ და ჩინეთი ძვირად ჩამიძრებიან

ჩინეთი უურისქიებაზე არასდროს უარს არ იტყვიან

ათენის სიხეუმი ჩაყრილ 80 ქართველს კიდევ ერთი დაემატა...

მერაბ ბერძენიშვილი: არა ეროვნულობა, არა სირცხვილი, მოგონილი კოჰაბიტაცია და განუღილი დუმილი...

ერისა და გერმანიის ბასაგონად



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავან ვერ ნახავ!..

არჩევნებაზე 66 დღე დარჩა...

რა უფლება-მოვალეობები აქვს საჯარო მოხელეს წინასაარჩევნო პერიოდში

საპარტიო ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის გადაწყვეტილებით, ფინანსთა სამინისტროს სისტემის ყველა თანამშრომლისთვის წინასაარჩევნო კამპანიის (აგტიაციის) პერიოდში საარჩევნო კოდექსის ზოგიერთი მოთხოვნის დასაცავად სპეციალური მიმართვა გავრცელდა.

ბის, სამსახურების, ბიუროს) და სამმართველოების ხელმძღვანელებს ეკრძალებათ იყვნენ საუბრო საარჩევნო კომისიის წევრები. არჩევნების დანიშნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია: საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების, სამსახურების, ბიუროს) და სამმართველოების ხელმძღვანელებს ეკრძალებათ იყვნენ საუბრო საარჩევნო კომისიის წევრები.



მიმართვაში დეტალურად არის ჩამოთვლილი ის უფლება-მოვალეობები, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო მოხელეს აქვს წინასაარჩევნო პერიოდში. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე საჯარო მოხელეებს უფლება არ აქვთ, მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში (აგტიაციაში) საშუალო საათების განმავლობაში ანდა როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების (დეპარტამენტებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების და ინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით.

ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადად ფულადი სახსრებით ანდა საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი საშუალოს შესრულება ან მომსახურების გაწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული საშუალოს შესრულებისა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელოვანი საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალებათ რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან სანაწილდევოდ წინასაარჩევნო აგტიაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ, აკრძალულია სოციალური გასაცემების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთვის, მნიშვნელოვანია მთავრობის პრიორიტეტი – საპრეზიდენტო კამპანია ჩატარდეს თავისუფალ და სამართლიან გარემოში და მზად არის, სრულად დაიცავს საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები“, – აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აკითხვები გვერს

დაფიქრდით და გაითვალისწინეთ!

ღია წერილი საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს

ბატონო მინისტრო, ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდებით, გადაამოწაოთ ჩემი საკუთრება – თქვენზე გარანტიით ნახესნები ათწლეულების მანძილზე ხელფასიდან დაზოგილი თანხა, როგორცაა არ უნდა გაჯიქდეთ, კანონი კანონია და მას ემორჩილება ყველა, განურჩევლად ერისა, სქესისა, სარწმუნოებრივი კუთვნილებისა და სხვა მრავალი პრივილეგიის მქონე ფაქტორისა. მით უმეტეს, რომ ეს თანხა მეკუთვნიტ მისთვის, ავადმყოფი კაცია, რომელსაც სიტყვის პირდაპირი გაგებით ცალი ფეხი სამარეში მიდგას. მე ვერ წარმომიდგენია, თუ თქვენ არ აპირებთ ამ მსგავსი თანხების საერთოდ მიტაცებას, რა მოტივით უნდა მიხარათ უარი ამ თანხის დაუყოვნებლივ გადასაბრუნებლად, თქვენ, თქვენივე სახელმწიფო ინსტიტუტიდან (სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური) მითითებული გაქვთ მყარი თანხა, რა ვალი გაგაჩნიათ ჩემი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი და იმ ინსტიტუტის ხელმძღვანელი, რომელიც ვლადებულობს, განახორციელოს ქმედება ამ ვალის პრაქტიკულად დაფარვისა. იმ ფონზე, როცა სახელმწიფო ეხმარება ბიზნესმენებს სამართლიანობის აღდგენაში და ეს უკვე ცალსახად გამოიხატა მრავალჯერად შემთხვევაში ბიზნესმენი უკან არ იხვევს თუნდაც ერთჯერად გასამრჯელოზე, რაც ცალსახად ქრთამად მოიაზრება, ეს ქვეშაობიერება და ნუ ეცდებით სირაქლემას როლში თავის ჩაყენებას. ჩემი შემთხვევა კი უკვე დამდგარი შედეგია, ხელისუფლებამ საბოლოო შედეგი მიიღო ჩემგან, ფულის სახით (რისთვისაც იბრძვის ბიზნესმენი) და ბუნებრივია, არაკეთილსინდისიერი ხელისუფლება ცდილობს, ყველა მიზეზით დაბლოკოს ვალის გასტუმრება მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს არის ხელისუფლების უპირველესი ვალდებულება, საკუთარ მოქალაქეს არ წაართვას საკუთრება, გაანტირებული ნებისმიერი დონის კანონებით, ეს იქნება შიდა სახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო კანონები. თუ ვაჟკაცები ხართ ანა ერთი არ მოემსახურებოდით საგარეო ვალს, შედეგი კატასტროფული დაგიდგებოდა, ვალი კი ვალია, შიდა იქნება თუ საგარეო.



კიდევ ერთხელ შეგახსენებთ არგუმენტს, რომელიც თქვენ დამიყენებთ ვალის გადახდის დასაბლოკად. ეს კრიმინალური 108-ე ბრძანებულება. ჯერ ერთი, ამ ბრძანებულებამ ჭირი მოგჭამათ ჯერ კიდევ 2007 წლის 31 დეკემბერს, მეორეც და მთავარი, ეს ბრძანებულება ძირშივე კრიმინალურია, რამდენადაც ნებისმიერ ასეთ სერიოზულ ბრძანებულებას თან ახლავს წესდება მისი დაფარვისა, როდის უნდა დაიწყოს და როდის დამთავრდეს, ვის მიეცეს პირველ რიგში, რამდენადაც ამ თანხების პატრონი არის სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანები, სადაც, რაღა თქმა უნდა, ისევე თქვენისთანა ხელისუფლების პირობებში ისინი არიან განსაკუთრებულად შეჭირვებულნი, განსხვავებით ბიზნესმენებისაგან, რომლებსაც თქვენ ესმარებით ინდულგენციის მოლოდინით, ჩვევს კი ეს მოლოდინი არ გაგაჩნიათ. მთელი ტრაგიკულობა ამ ორი მოვლენისა ამაში მდგომარეობს, რასაც თავისთავად დანაშაულებრივ სფეროში გადაწყვეტის თქვენი მოქმედება და დანაშაული მით უმეტეს სახელისუფლებო დონისა და სადაც გამოკვეთილია პიროვნებები (ჩინონიკები), ხანდაზმულობა არ მოქმედებს, მაგალითი სახეზე გყავთ – მერაბიშვილი, ახალია და სხვა მრავალი რიგში მდგომარი, გაგქმდება შესაძლოა თქვენ გახდეთ, თუ დროზე ვერ მოგვით გონს და არ იფიქრებთ ცოტა მაინც გახდომარე ხალხის სამსახურში, თორემ ისე ბრძანებით გაქსუებული, რომ სადაც არ უნდა დაგაჭიროთ კაცმა თითო, შეიძლება გასკდოთ კიდევ... დამიხსოვრეთ, თუ ვინცოცაა, რამეს მაინც აკეთებთ, თქვენზე მეტი სხვებსაც აქვთ გაკეთებული, ვისაც ასე დაუდევრად ექცევიან. რა განსხვავება ნულთან ტოლერანტობასა და ნულთან კომუნიკაციას შორის; ისე კაცმა რომ თქვას სააკაშვილის ნაკლებ ნულთან ტოლერანტობა კი არა, მას სხვა ჭირი სჭირს, ადამიანის სისხლის მანიაკალური წყურვილი, ქალებთან მანიკალური ურთიერთობა, ადამიანების გადაბირება და გახრწნა ფულის საშუალებით, ეჭვს გარეშეა, რომ სააკაშვილი დღეს ბატონ ივანიშვილზე მდიდარია!.. საიდან პრეზიდენტს მილიარდობით სიმდიდრე, თუ არა ყაჩაღობით ბუზიც აღარ დატოვა გაუფცქვნილი, თანაც მისი ასეთი ძვირადღირებული და აღვირახსნილი ცხოვრების წესით. თქვენ კი სწორედ ნულთან ტოლერანტობა და პლიუს ნულთან კომუნიკაცია გჭირთ, თქვენ და თქვენისთანები მრავალად ბრძანდებით ივანიშვილის გვერდით, თქვენ არ ხართ ივანიშვილის კადრი. დაფიქრდით და გაითვალისწინეთ რისხვა, რაც თქვენ გელით, უკვე იწყებს ეს რისხვა ყონვას ხალხში და თუ მან მიიღო საყოველთაო ხასიათი სააკაშვილის გუნდზე მეტად მძიმე იქნება თქვენი მდგომარეობა. დანაშაული ჯერ არსად და არასოდეს დაუსჯელი არ დარჩენილა. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, მიმიღოთ დაუყოვნებლივ!

ძარტლოს ზაპარაიშვილი

ალიან-ჩალიანი

ზურაბ აბაშიძე ნინო გურჯაანას „ბინძური კამპანიის“ წარმოებაში ადანაშაულებს

„თავისუფალი დემოკრატიების“ ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, მტკნარი სიცრუეა, თითქოს „ქართული ოცნების“ წევრები ნინო ბურჯანაძის პარტიაში გადადიან. ამის შესახებ ზურაბ აბაშიძემ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, არასწორი პრობლემატიკა მიდის კოალიცია „ქართული ოცნების“ რიგებში შემავალ პარტიებთან, განსაკუთრებით „თავისუფალ დემოკრატიებთან“, დაკავშირებით და აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალეს, განმარტებები გაეკეთებინათ. – ეს სინამდვილე არ შეესაბამება, ეს არის მტკნარი სიცრუე. ასეთი ტიპის განცხადებები ბურჯანაძის პარტიის მხრიდან მომავალშიც იქნება, რადგან ეს მათი პიარის ნაწილია და ფიქრობენ, რომ ამით არჩევნებში შედეგებს მიაღწევენ, თუმცა ძალიან ცდებიან, რადგან ქართული საზოგადოებას ისინი კარგად არ იცნობენ, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. მან კონკრეტული მაგალითები მოიყვანა. კერძოდ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლანჩოსა და მარნეულში „თავისუფალი დემოკრატიების“ წევრები გადავიდნენ ნინო ბურჯანაძის პარტიაში. როგორც ზურაბ აბაშიძე აცხადებს, დასახელებული პირები საერთოდ არ ყოფილან „თავისუფალი დემოკრატიების“ წევრები. – მიგვაჩნია, რომ ეს არის ბინძური კამპანია, რომელიც სათავეს იღებს „ნაციონალური მოძრაობიდან“ და მათი ღირსეული წარმომადგენელი იყო ნინო ბურჯანაძე, რომელიც აგრძელებს ამ ტიპის მუშაობას, – დასძინა ზურაბ აბაშიძემ.

დავით ნარმანიამ რუსი-აგარის გზის მუშაობა დაათვალიერა


რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ რუსი-აგარა-აგარას შემოკვეთის საავტომობილო გზის 19-კილომეტრიან მონაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, გზის ამ მონაკვეთის მშენებლობა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს. სამუშაოებს კონტრაქტორი კომპანია China Nuclear Industri ასრულებს. პროექტის მიხედვით, საავტომობილო გზის ამ მიმართულებას 8-კმ-იანი მონაკვეთი რეკონსტრუქციის ექვემდებარება, ხოლო 11-კმ-იანი მონაკვეთი ახალი მიმართულებით გაივლის. გზის სავალ ნაწილზე მოეწყობა ცემენტ-ბეტონის საფარი. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს 5 გაგამტარისა და 3 სახიფათო გადასასვლელის მშენებლობას. მიმდინარე ფრონტსა და მიმდინარე ფეხზე აშენდება ორთხი პარალელური ხიდი; ასევე, აშენდება რკინიგზაზე გადასასვლელი ორი პარალელური ახალი გაგამტარი. დღეისთვის რუსისა და ქარელის გაგამტარებზე დასრულებულია ხიმინჯების, როსტვერკებისა და კოლონების მოწყობის სამუშაოები; მიმდინარეობს რკინიგზის ოთხკუთხა გასასვლელისა და წყალგამტარი მილების მშენებლობა; დასრულებულია ნახინის 2 გადასარევი, 1 გასასვლელისა და 18 წყალგამტარი მილის ბეტონის ჩასხმის სამუშაოები. პარალელურად, მიმდინარეობს ნაბურღ-ნატენი რკინიგზის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები მიმდინარე ფეხზე. სამუშაოების მთლიანი ღირებულება 70 756 772.13 ლარს შეადგენს და მათი დასრულება 2014 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

ის გერმანიაში გაფრინდა...

მედიის უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ცნობილი ტაჯიკი ოპოზიციონერი ჟურნალისტი დოდოჯონ აბუჯულოვი. ამის შესახებ „რადიო თავისუფლების“ ვებრუბლი სამსახური იუწყება. როგორც დაკავებულმა ჟურნალისტმა „რადიო თავისუფლებასთან“ სატელეფონო საუბრისას განაცხადა, 20 აგვისტოს ის თბილისის აეროპორტში დააკავეს, სადაც ჩეხეთიდან ჩავიდა. ჟურნალისტის განცხადებით, ის ტაჯიკეთის ხელისუფლების მოთხოვნით დააკავეს, სადაც მას ექსტრემიზმსა და ტერორიზმში ადანაშაულებენ.

ტაჯიკი ჟურნალისტი თბილისის აეროპორტში არ დაუკავებიათ

დოდოჯონ აბუჯულოვი ცნობილი ტაჯიკეთის პრეზიდენტის ემოქალი რაჰმონისა და მისი ოჯახის წევრების მწვავე კრიტიკით. ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ განცხადებით, ტაჯიკეთის ხელისუფლების მიერ ჟურნალისტის დაკავების მოთხოვნა პოლიტიკურად მოტივირებულია. „რადიო თავისუფლების“ ცნობით, გასულ თვეს აბუჯულოვი უარი ეთქვა მოსკოვის აეროპორტში შესვლაზე, სადაც ის ასევე პრადიდან ჩაფრინდა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ტაჯიკი ჟურნალისტი მოსკოვში ცხოვრობდა, სადაც გასულ წელს თავდასხმას გადაურჩა. მას რამდენიმე ჭრილობა მიყენეს მოსკოვის რესტორანში. ჟურნალისტის თქმით, თავდასხმა მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდებოდა. ტაჯიკი ოპოზიციონერი, ჟურნალისტი დოდოჯონ აბუჯულოვი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ დაუკავებია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, ეს პროცესი აეროპორტში იმის გამო შეაჩერეს, რომ ინტერპოლის მიერ იძებნებოდა. – როგორც აღმოჩნდა, ამ პირს გააჩნდა გერმანიის მიერ მინიჭებული ლტოლვილის სტატუსი. მას ეს საბუთი ხელთ ჰქონდა. ის შეჩერდა, თუმცა, გუშინ გაფრინდა მიუნხენში, – განაცხადეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.



ძართული ციკვიბი და სიმღერები ჩვენი ისტორიის ანარეკლია, ამიტომაც, სიმღერა „ჩაკრულო“ მშვიდად, გულის ძგერის გარეშე რომ ვერ ვისმენთ. ალბათ, ეს ის ძალაა, ძალა ჩვენსა და წინაპართა შორის უწყვეტობისა, რომელიც გვაუწყებს და გვახსენებს ჩვენი ერის გმირულ ისტორიას. იგივე იტყვის ცეცხლოვანი ცეკვებზე, რომელშიც ნათლად ჩანს გაუთავებელი ბრძოლები და სიმტკიცე ერისა. სულიერმა გაუტყულობამ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა – „მაშული, ენა, საღმრთო ნოვა“. საოცრებაა, მუდმივ ბრძოლებსა და ქარცეცხლში გამოვლილმა ქვეყანამ როგორ შექმნა უნიკალური თვითმყოფადი კულტურა, დიდებული დამწერლობა, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერება და ხელოვნება, სახელოვანი სპორტული სამყარო. ეს ის ერი, რომელსაც მსოფლიოში თითქმის ჩამოსათვლელთა შორის საკუთარი ანბანი რომ გააჩნია, ეს ის ერი, ასე ათასმა ქართველმა მართლმადიდებლობის შეურაცხყოფას და შელახვას სიკვდილი რომ ამჯობინა, ეს ის ერი, რომელსაც საკაცობრიო ისტორიაში თავისი წვლილი რომ შექმნა და დღესაც შეაქვს. იგი წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით კურთხეული ქვეყანაა, რომელიც დღეს აშენებს ჭეშმარიტ ქართულ დემოკრატიულ თავისუფალ სახელმწიფოს; მჯერა, რომ ის ამას შეძლებს. ასეთი ზნეობისა და რწმენის ხალხს, განა შეიძლება, მოუწყო ჰომოსექსუალისტთა და ლესბოსელთა ალღუმი და მისი პროპაგანდა? ეს სრულიად გაუგებარია და ვისაც ეს სურს დაამკვიდროს საქართველოში, მან უნდა იცოდეს, რომ ეს ძალადობის ფორმაა და, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულია. საქართველო რუსთაველის ქვეყანაა, მზიური, ვაზისა და სიჯანსაღის ქვეყანა, და ვერასოდეს შეეგუება არაჯანსაღ, ავადმყოფურ მამაკაცთა ურთიერთობებსა და მტლამტლამის დემონსტრირებას. საქართველო ტრადიციის ქვეყანაა და მისთვის ეს მიუღებელია, ამიტომ ნურავის უკვირს სამღვდელოების აღშფოთება ამ ალღუმის გამო. როცა საქართველოს მძიმე დღეები ჰქონდა და უჭირდა, რომ იყო თუ ჭირი, ერი და ბერი ყოველთვის ერთად იდგა. როცა დღეს ჩვენს სამშობლოს მზაკვრული ფორმით უტყვევებს, სამღვდელოების შეშფოთება და ხალხთან დგომა ბუნებრივია. გაისხენთ თვედორე მღვდლის ქმედება და გაისხენთ ქათვან წამებულს. მაშინ იტყვიან და დარწმუნდებიან, რომ აუცი საუბრები ტრადიციის უარყოფაზე, სამღვდელოებაზე, რომელიც წინ აღუდგა ალღუმს, სიბეცე და ქარაფშუტობაა. უფრო რიდიტა და პატივით გემართებს საუბარი ღვთის მსახურთა და დედუკლების მიმართ.

17 მაისზე საუბარი უნდა დამთავრდეს, ხალხის მოთხოვნა, რომ არ სურს ქვეყანაში დაამკვიდროს ჰომოსექსუალთა და ლესბოსელთა ალღუმი, კანონმა უნდა გაამყაროს და დაუსვას ნერტილი. დემოკრატიის არსი ხალხის ნებაშია.

საოცრებაა, რაში ვხარჯავთ დროს, რაზე ვკამათობთ, როცა ყოველი წუთი დასანანია, რადგან საფიქრალი გვაქვს, როგორ გადავარჩინოთ ეს გავერანებული ქვეყანა; მით უმეტეს, როცა ვიცით, სახარბიელო მემკვიდრეობა არ მიგვიღია. ვერც ამას მივიღებდით წინა ხელისუფლებისაგან, რომ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ქვეყანა გამოგლეჯა ხელიდან ნაცმოძრაობის ხელისუფლებას, სასტიკად დაამარცხა არჩევნებში იგი და ამ გზით მოიპოვა გამარჯვება. დიას, მოვიპოვეთ გამარჯვება მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ



ნათლად ჩანს, რომ ჩვენი დღევანდელი არაა ადეკვატური იმ წინა საარჩევნო პათოსისა, რომელიც გვახსოვს. საზოგადოება ელოდა ქვეყნის თვისებრივად შეცვლას, და რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოს გაშენებთ, პარლამენტისაგან ელოდა სამართლიან შეფასებას, მართალ სიტყვას წინა ხელისუფლების რაობაზე, მით უმეტეს, რომ დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა, ოპოზიციაში ყოფნის დროს, წინა ხელისუფლებას ქართული სულიერების მტრებად და კრიმინალებად აღიქვამდა.

მსურს, შევასწავლო პარლამენტარებს: ნაცვლად ამგვარი მოლოდინისა, მოხდა ის, რომ მაგანის შემოგდებული ზედაპირული კოპაბიტაცია უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ხალხის თქვენდამი ნდობა, ხალხისა, რომელმაც ავირჩიათ და თქვენგან სამართლიანობას ელოდა. თქვენ, დღევანდელი ხელისუფლება, იმისათვის, რომ არ დაგბრალდეთ პოლიტიკური დევნა, ყოფილ ხელისუფლებას იმ მძიმე დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილი აქვთ, პასუხისმგებლობას არ აკისრებთ და არ უყენებთ ბრალდებას. პირიქით, პარლამენტი ცდილობს, ნაცმოძრაობა, როგორც პარტია, გადაარჩინოს. არჩევნების წინ ქართველ ხალხს ბრძენ ხალხს უწოდებდნენ, და იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ამ მოკ-

მერაბ ბერძენიშვილი: არა პროკონსულს, არა სირსხვილი, მოგონილი კოპაბიტაცია და განუღილი დუმილი...

ლე დროში ქართველმა ხალხმა გონიერება დაკარგა და კოპაბიტაციის გაუმართლებელი ლოგიკა იწამა? ესეც მოგონილია, როცა ვამტკიცებთ, რომ ხელისუფლების სავერდოვანი გადაბარება მოხდა, ნურას უკაცრავად, საზოგადოებას კარგად ახსოვს, რა სავერდოვანად იქცეოდა სპეცრაზმი ხაშურში, რა ხდებოდა სამეგრელოსა და კახეთში. გავიდა დრო და ამ დროში ნაციონალურმა პარტიამ უამრავი სიბავი ჩაიდინა, და ვინ იცის, კიდევ მომავალ არჩევნებამდე რას ჩაიდენს. საზოგადოება ამაზე პასუხს ითხოვს და თქვენ განვილი დროში ამყოფებთ მას, ისედაც ნერვებდაწვევით ხალხს დუმილით უპასუხებთ. როცა ბატონმა დავით უსუფაშვილმა მკვეთრი განცხადებით უპასუხა დასავლეთს, ეს იყო ჩვენი ქვეყნის პარლამენტის ღირსება და დემოკრატიულ პრინციპებზე მდგარი თავისუფალი სახელმწიფოს ჭეშმარიტი პასუხი. ეს ხალხმა დადებითად შეაფასა. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართული საქმის გადასწვევად ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან ოპოზიციურ პარტიათა ლიდერების შეხვედრაზე, სადაც ირჩეოდა წინასაარჩევნო პერიოდი, არავის გაახსენებია „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს“. ამ საქციელმა საბოლოოდ დააქინა ისედაც ხელგანწვდილი და შეურაცხველი ხალხი. და ასე თუ გავაგრძელებთ, ჩვენი ხალხის ღირსება და სიამაყე ქართულ ცეკვებსა და სიმღერებში სამუზეუმოდ დარჩება. გაუგებარია არჩევნებიდან არჩევნებამდე არჩევნებზე საუბარი, ამას ემატება სატელევიზიო ზოი გადმოცემები, ერთმანეთის ლანძღვა და დავა, ვის იჭერენ, ვის უშვებენ, ყველაფერი აწვობილია სკანდალზე. ძვირფასო ქართველებო, პატარა ბავშვები შეიბრალებით! ჯერ იყო და ბრაზილიურად გავზარდეთ, დაბალი მსატრული ღირებულების სერიალებით, რომლებიც არაფერს ასწავლიდა, ურთიერთუპატივცემულობის, სიბოროტისა და ყალბი სიყვარულის გარდა. კომერციის გამო ახალგაზრდობას ვწირავთ, თურქული სერიალების შემდეგ, ალბათ, ინდოეთისა და ინგლისის, თუმცა არა, ეს უკვე იყო, ინდოელები ახლა გაყიდულ ქართულ „მინებს“ ამუშავენ. ისიც გაუგებარია, რატომ დავიწყეთ პრესაში ფართოდ საქართველოს მოლაღატე გათათრებულ მეფეთა სიების გამოქვეყნება. დღეს მომავალი თაობის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ მოკლე-

ბულია ისტორიის ცოდნას, ამიტომ მართებული იქნებოდა, პრესაში გაგვეხსენებინა იმ მეფეთა სახელები, რომელთა სიბრძნემ და გმირობამ საქართველო დღემდე მოიყვანა.

ყოველივე, რაც ხდება, ჩვენი კულტურის დაცვაზე მეტყველებს. კულტურას, ლიტერატურასა და ხელოვნებას ებრძოდა მძაფრად წინა ხელი-სუფლება. დროა, დავიბრუნოთ ჭეშმარიტი ხელოვნება. დღეს ხელოვნება პრიორიტეტული უნდა გახდეს, ამას ნათლად წარსულიც გვეუბნება. საკმარისია, ერთხელ დახედო მუზეუმში გამოფენილ თამარის ჯვარს და შეიცნობ საქართველოს სიდიადეს. დროა, ხელოვნების სახელით განეული ყოველი მდარე, ზედაპირული, მომაკვდინებელი საქმიანობა ჩამოვაშროთ ახალგაზრდობას, სხვა შემთხვევაში ეს სენი გამრავლდება და იზიემებს მათში დადგმული სპექტაკლის - „სანუმას“ მსგავსი არარაობა.

ჩვენი პარლამენტის უმრავლესობაში არიან ქვეყნისთვის თავდადებული და პატრიოტი ადამიანები, ინტელექტუალები, საქმის მცოდნენი და გამოცდილი პოლიტიკოსები. იმედს ვიტოვებთ და გვჯერა, რომ ამ პრობლემებზეც გაამახვილებენ ყურადღებას. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც საკუთარი კეთილდღეობის გარდა, არაფერი აწუხებთ. როცა პარლამენტის სსდომების გადმოცემას შევყურებ, თვალწინ მესატება კურორტ „ჯისლაგოდსის“ თეთრი დარბაზი, სადაც დამსვენებლები პროცედურებს იღებდნენ; როდესაც ახლო კადრით გადმოსცემენ, ზოგიერთს ისეთი განცხრომა და თვითმამყოფილება ეტყობა სახეზე, რომ ასე მგონია, ფეხებთან მიწერალური წყლით სავსე ტაშტი უდგათ და შიგ ნებავრად ფენებს ატყაპუნებენ. სწორედ ასეთების გამოა, ქვეყანა გაუმარგლაყ ვანას რომ ემსგავსება, სარეველა რომ ახრჩობს. მათ, ვისაც უმრავლესობაში ჭეშმარიტად გული შესტვივა თავის ხალხზე და ქვეყანაზე, სასურველია, საზოგადოების მოთხოვნილებებს უპასუხონ, რას ფიქრობენ, რას აკეთებენ, რატომ არიან მათი ამომრჩეველები მუდამ ხეწნისა და მუდარის მდგომარეობაში. ნუთუ თქვენ იმას ფიქრობთ, რომ ჩვენი ზედაპირულად ვსაუბრობთ, ჩვენი ვიცი და თქვენც კარგად მოგესხენებათ, პატარა სახელმწიფოები რომ უბრალოდ უბრძოლველად ვერ შევლენ ვეება სივრცეში, სადაც დიდი სახელმწიფოები, ზესახელმწიფოები არსებობენ, სადაც არავის აწუხებს პატარა სახელმწიფოების გმირული წარსული, თუ ვინ და რა მისცა მსოფლიოს პატარა ქვეყანამ. გასაგებია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ურთიერთობის გარეშე, შეუძლებელია არსებობა დღევანდელ მსოფლიოში, მაგრამ ეს როცა ნიშნავს, მსოფლიო იმაზე ვიფიქროს, რომ არ გავანანყენოთ დასავლეთი, უპასუხოდ დავტოვოთ ჩამოსული ვილაც უსახური ჩინოვნიკები, თითის ქნევით რომ გვასწავლიან ჭკუას. დემოკრატიულ თავისუფალ საქართველოს, მის სახელმწიფოებრივ ღირსებას სჭირდება დაცვა, სხვა შემთხვევაში სახელმწიფოს სუროგატს მივიღებთ, მუდამ სხვისგან დახმარების მომლოდინე, ხელგანწვდილ ქვეყანას.

საქართველოში ცხოვრობდნენ ქრისტეს მცნების მიმდევარი, მტკიცე ნებისა და სულიერების კეთილზუნებოვანი ვაჟკაცები, ღვთისმშობელი დედები, სათნო ქალბატონები და მშვენიერი გოგონები, ლაღი, შემართული ჭაბუკები. რომ ეს ასე იყო, ამის დასტური დიდგორის ბრძოლაა, „ძლევაი საკვირველი“. ამ საამაყო და წმინდა ადგილის თარიღი – 12 აგვისტო წინა ხელისუფლების წლების მანძილზე არ უზიემია. მაგრამ, 2008 წლის 8 აგვისტოს სამარცხვინო დამარცხება ფიქრვერკებითა და ტაშფანდურით აღნიშნა, როგორც დიადი „გამარჯვება“, რაც ცინიზმა და სიმბახინჯე იყო!!! საველალაო ის, რომ დღესაც არავის ახსოვს დღესასწაული დიდგორობა, „ძლევაი საკვირველი“, რომელმაც გააოცა მაშინდელი მსოფლიო და გააძლიერა ქრისტიანული სამყარო. ამ ბრძოლამ გადამწყვიტა ჩვენი არსებობის ბედი, ამ ბრძოლას მიჰყვანა დიდგორის გმირთა მემორიალი, სადაც დღეს უნდა იწვებოდეს ჩვენი ერის ღირსების განმტკიცება, ჯარში ახლად განეული ჭაბუკები აქ, ამ ადგილას უნდა იღებდნენ ფიცს სამშობლოს წინაშე; მშობლებმა და მასწავლებლებმა აქ უნდა ამოიყვანონ ბავშვები და აუხსნან ყოველივე, ბავშვობაში იწვება სამშობლოს სიყვარული. ეს ადგილი ტურიზმის გეგმაში უნდა ჩაისვას. დიდგორის ბრძოლა – „ძლევაი საკვირველი“ ქართველი კაცის სიჩაუქის, სულიერი სიმტკიცის, ჩვენი ერის სულიერი წარსულის საამაყო ადგილია. და თუ მის დამი პატივისცემის ნიშნად დიდგორობის დღესასწაულს არ დავამკვიდრებთ, მაშინ ნუ გავიკვირებთ „ელგებეტე“ ალღუმების მოძალბას.

ყოველმა ახალგაზრდამ უნდა გაითავისოს „ძლევაი საკვირველის“ მნიშვნელობა და თავისი ნიჭი, ცოდნა, განათლება და ენერჯია მოახმაროს მომავალი თანამედროვე ქართული თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობას.

ის ქაოსი, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებიდან ნაწილობრივ წასვლამ გამოიწვია თითქოს, საპრემიერო არჩევნების ჩატარების შემდეგ უნდა დალაგდეს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, ძალთა რეალური ბალანსი გამოიკვეთოს და პოლიტიკაში ჯანსაღ პროცესებს ჩაეყაროს საფუძველი. არის თუ არა საზოგადოება მზად სწორი არჩევანის გასაკეთებლად, რა იქნებოდა ქვეყნისთვის უკეთესი და როგორ საარჩევნო გარემოში მოუწევთ საპრემიერო კანდიდატებს გამარჯვებისთვის ბრძოლა, ამ თემებზე ექსპერტი ნანა ღიპქარიანი გვესაუბრება.



— საბარაშო საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის საპრემიერო არჩევნებზე დაკვირვებასთან დაკავშირებით თანხმობა ნატოსა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან და ეუთოდან უკვე მიიღო. არსებობს მოლოდინი, რომ „ნაციონალიზმი“ შეეცდება საარჩევნო პროცესის პროვოკაციებით წარმოართოს. შესაძლებელია თუ არა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები სიტუაციაში რეალურად გაეკვივებინ?

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დამკვირვებელთა ვინაობას. 9 წელიწადი ხელისუფლებაში ყოფნა, მანამდე არაერთხელ ინიშნა „მოქალაქეთა კავშირში“ ყოფნის გამოცდილება, ეს ნიშნავს, რომ ნაციონალურებს აქვთ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან დიდი ხნის თანამშრომლობის გამოცდილება. ხოლო იმ პირებთან, ვინც ამ ორგანიზაციებს წარმოადგენენ — პირადი კონტაქტები.

როდესაც ჩამოდის სააკაშვილის მეგობარი და თან ყველასათვის ცნობილია, რომ ის არის სააკაშვილის მეგობარი აშშ-ის კონგრესში, მოდის საქართველოში სადამკვირვებლო მისიით, გასაგებია, რომ ის მის სასარგებლოდ ილაპარაკებს. ეს ძალზე ჩვეულებრივი ამბავია და არავის ეგონოს, რომ ისეთი პატიოსანია დასავლური პოლიტიკური სპექტრი, არავის ეშინოდა. ეს ჩვენ ბევრჯერ გვინახავს ამ ბოლო დროს.

— ხელისუფლებამ რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში, მისიების სხვა წარმომადგენლები დაიმეგობროს?

— გზა ის არის, რომ უნდა გააცნობიერონ, რა რთული ვითარებაა. ამ კოაბიტაციის კოაბიტაციაში გადადგა ცსკოს თავიჯდომარე. მოვალეობის შემსრულებელსაც ვადა აქვს გასული. ასეთი ვითარება და 10 თვე რომ ხელისუფლებაში ხარ და რაღაცეებს ერთი ნაბიჯით წინ ვერ გათვლი, ეს არაფერ კარგზე არ მეტყველებს.

— არსებობდა მოლოდინი, რომ ახალი ხელისუფლება, პირველ რიგში, საარჩევნო სივრცეს მოანერგებდა, რადგან საპარლამენტო არჩევნების წესს წინააღმდეგ ეს თემა იყო ყველაზე ცხელი. რითი შეიძლება აისხნას დღევანდელი გულგრილობა ამ თემის მიმართ?

— ფიქრობ, არხეინი დამოკიდებულებით. მაგრამ თუ „ქართული ოცნებაში“ ვინმეს ჰგონია, რომ მთელი სახელმწიფო სტრუქტურა როგორც ადრე ნაციონალურზე მუშაობდა, დღეს მათზე იმუშავებს, ის შეცდომის უშედეგია. დღეს არ არის ისეთი აგრესიული ხელისუფლება, რომ იმის გამო, რაკი ხელისუფლებაშია, ავტომატურად, ყველა ნაბიჯზე დაემორჩილებიან.

ყოველდღიურად ცხედავთ, რომ სულაც არ არის ასე და ძალიან ხშირად, მთელი რიგი სტრუქტურები სულ სხვა პოზიციას იკავებენ.

— თვითმმართველობებში, როგორც ვიცით, უმრავლესობით კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოდგენილი, მათი მოხრეხვები აქტიურად მუშაობენ ამომრჩეველზე. რეგიონები ყოველთვის იყო პრობლემა ოპოზიციისთვის. როგორ ფიქრობთ დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ რეგიონებში რა უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს?

— ისიც ცუდია, რომ ნაციონალურებს ჰყავდათ უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ ცუდია, რომ მთელ რიგ რაიონებში გადაიღება „ნაციონალური მოძრაობა“ და გახდა „ოცნება“. თბილისის მაგალითი აიღეთ, გუშინ შინაშვილი ნაციონალი იყო, დღეს — „ოცნებაა“.

რეგიონებში კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა. ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ ამ არჩევნებზე ნინო ბურჯანაძე ერთნაირად მიუღებელია „ოცნებისთვისაც“ და ნაციონალისტებისთვისაც. ნათლად ჩანს, რომ ორივე ძალა ლიდა ებრძვის — აქედან დასკვნის გამოტანა რთული არ არის — ადგილებზე, არჩევნების დროს, ძალიან ხშირად ხდება-ხოლომე გარიგება, ისე რომ, სულ არ სჭირდება არც ცსკ-ს და არც ვინმე სხვისი ჩარევა.

— ანუ, არჩევნებიც კოაბიტაციის თანხლებით გვექნება? — რა თქმა უნდა, იცით იტაბები როგორ მუშაობენ? — პარტიების შტაბებში სხედან და მიუღიან სად რამდენი ხმა აქვთ მიღებული, სად აწყობთ ჩაშლა, ან გასაჩივრება, ან სადმე დარღვევა და არ აწყობთ გასაჩივრება, რადგან ის ხმები სჭირდებათ საერთო ყულაბაში. ეს ყველაფერი შტაბების მუშაობაზეა დამოკიდებული.

— საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა ის დაპირებები, რისთვისაც მას ხმა მისცეს. ასეთი დამოკიდებულება როგორ გადაიხანის „ოცნების“ ამომრჩეველს, ნაციონალისტების თუ სხვა ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ?

— ნაციონალისტებისთვის ხმის მიცემა გამოიცხადია. ეს ის ხალხია, რომელმაც მიუხედავად ტერორისა, ყველაფერი გააკეთა და გაამარჯვებინა „ოცნებას“. მოტივად დღეს და ამომრჩეველმა ნაციონალურებს ხმა ისევ მისცეს, ეს გამოიცხადია. ამიტომ, ადგება და სხვას მისცემს ხმას, ეს სხვა კი ნინო ბურჯანაძე იქნება.

— თუმცა, რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, ინფორმაცია მოდის, რომ რეგიონებში სულ უფრო ხშირად ახსენებენ ბაქრაძეს, თუმცა, ლოგიკურად, ხელისუფლებით უკმაყოფილო ამომრჩეველის სიმბაბილე სხვა ოპოზიციური პარტიების, მაგალითად, ბურჯანაძის სასარგებლოდ უნდა გადაიხანის. როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი ივანიშვილის განცხადებაა თუ არ არის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე?

— ვილაც შეიძლება, გაბრაზებულ გულზე ამბობდეს კიდევ, რომ მარგველ შვილს კი არა, ადგება და სულაც ბაქრაძეს მისცემს ხმას, მაგრამ საარჩევნო ურნასთან რომ მივა, დარწმუნებული ვარ, ის ასე არ მოიქცევა. კიდევ ვამბობ, რომ ასეთი დაბნეულობა არის

პრემიერის ნასვლის სურვილი ბრძოლის ველიდან გაქცევას ჰგავს! — ნანა ღიპქარიანი

ასეთი დაზნაულობა არის ამ მახინჯი კოაბიტაციური პროცესის შედეგი

ამ მახინჯი კოაბიტაციური პროცესის შედეგი, როდესაც ხელოვნურად დატოვებულია ორი პოლიტიკური ძალა.

— ხელისუფლების რეიტინგზე უარყოფითად აისახა კოაბიტაციის თემა „ოცნება“ უკვე ამბობს, რომ კოაბიტაცია 28 ოქტომბერს მთავრდება, ამომრჩეველის განწყობას დღევანდელი განცხადებები რამდენად შეცვლის?

— დავიწყობ იქიდან, რომ 28 ოქტომბერს ხმებიც კი არ იქნება დათვლილი — უკვე შეცდომაა ამაზე ლაპარაკი. ამის გარდა კოაბიტაცია მარტო სააკაშვილს კი არა, გუშინდელ დამინაშე პარტიასაც გულსხმობს — „ნაციონალურ მოძრაობას“.

როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი 28 ოქტომბერს, როდესაც პარლამენტში 40% ნაციონალური არიან, საკრებულოებში რაც ხდება ამაზე უკვე ვისაუბრეთ — მარგველა შვილი როგორც კი გამარჯვდება, ნაციონალური დაიძინებენ? — ამას პატარა ბავშვიც კი არ დაიჯერებს — მხოლოდ პრეზიდენტი შეიცვლება 27 ოქტომბრის მერე და მოხდება, რომ საკრებულოდ, მეორე ტური იქნება...

ძალიან არ მომწონს პრემიერის განცხადებები პოლიტიკიდან წასვლის შესახებ. მან უნდა შეასრულოს დანაპირები, ამის შემდეგ ექნება წასვლის უფლება, იქამდე ეს ბრძოლის ველიდან გაქცევას ჰგავს, ერთი გაქცეული მთავარსარდალი გვახსოვს სააკაშვილის სახით და მეორე არანაირად არ გვინდა. ეს არ იმოქმედებს მის იმიჯზე კარგად და ყველაფერი, რაც გაუკეთებია, წყალში ჩაეყრება.

— თუ გახდება პრეზიდენტი ბურჯანაძე, მაშინ ვიდებთ სამ პოლიტიკურ ძალას სახელისუფლებო შტოებში. ბურჯანაძეს ერგება საპრემიერო ხელისუფლება, ადგილობრივი ხელისუფლება დარჩებათ ნაციონალურებს, საკანონმდებლო-აღმასრულებელი „ოცნებას“, პროკურატურასა და სასამართლოსაც „ოცნება“ და ნაციონალური გაიყოფენ, საგარეოდ ბურჯანაძის კადრებიც დამატება — ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრებისთვის ასეთი სცენარი კარგი იქნებოდა, მაგრამ რამდენად რეალური ჩანს ეს ყველაფერი ამ გადასახედიდან?

— საქმე ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტი ძალიან კარგი დამბალანსებელი იქნება ამ ორი ძალისათვის. ჩვენ ვხედავთ, ერთი-ერთზე შეტოვებული რასაც აკეთებენ. ხალხის სასიკეთოდ აქედან არაფერი გამოვიდა. ცხადია, რომ კიდევ სჭირდებათ ვილაც, ვინც ამ ორ ძალას დააბალანსებს და აიძულებს, რომ არ გააგრძელონ ისე, როგორც დღემდე გრძელდება.

— თუ არჩევნები იქნება აბსოლუტურად ობიექტური, ყოველგვარი გაყვლების გარეშე, თუ საზოგადოებრივი განწყობები ზუსტად აისახა არჩევნების შედეგებზე, როგორი სცენარი წარმოგედგინათ, რა შედეგი შეიძლება მივიღოთ?

— მარტო პრეზიდენტობის კანდიდატების რაოდენობას რომ შევხედოთ, მივხვდებით, რომ ძალიან სემენტირებულია საზოგადოების თვალსაზრისი. მეორე ტურის ჩატარებას იმიტომ ვვარაუდობ, რომ ხმები ძალიან დაიყოფა. მეორე ტური თუ იქნება, ვვარაუდობ, მარგველა შვილის და ბურჯანაძის გასვლას. ასეთ შემთხვევაში, მარგველა შვილსა და ბურჯანაძეს შორის ამომრჩეველს არჩევანის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს.

— ანუ აირჩევენ ვის?

— ყოველ შემთხვევაში, არ აირჩევენ მარგველა შვილს. შეხვედრებს ხომ ადევნებთ თვალს, არ არის პოლიტიკაში დიდი ხნის შემოსული, ძალიან ცდილობს, მაგრამ არ გამოდის იმ პულისს დაჭერა, ხალხი მისგან რას ელოდება — არის მხოლოდ ზოგადი ფრაზები.

— თუმცა, როდესაც ბურჯანაძის პოლიტიკურ მომავალზე საუბრობენ, ყოველთვის აღნიშნავენ, რომ მის მინუსებში დიდი ადგილი უკავია 26 მაისს, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მაშინდელ ხელისუფლებას ისე ოპოზიციას...

— ამას ლაპარაკობენ მისი ოპონენტები, რომლებიც მეორე დღეს აცხადებდნენ, რომ ეს არის ბურჯანაძის ბრალი. ესენი არიან ნაციონალური და რესპუბლიკური ძალები, სხვა მე არ მახსენდება.

ყველა ვინც ამბობს, რომ 26 მაისი არის ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობის საკითხი, ათეორებს სააკაშვილის ხელისუფლებას და მერაბიშვილის პოლიციას, რომელმაც ისეთი სისასტიკე ჩაიდინა, რომლის ანალოგიც არ მახსენდება 9 აპრილის შემდეგ. მინდა შევხსენოთ, ამერიკელების დასკვნას რომ აფრიალებდნენ, სხვათა შორის, კერძო ორგანიზაციის, ვანო მერაბიშვილის ვითომდა გასამართლებლად, იქაც წერია, რომ „სი-ესი“ გამოიყენა პოლიციამ, სწორედ ეს მსუთავი გაზი იყო გამოყენებული 9 აპრილსაც — მეტი რაღა უნდა ითქვას?

— თუმცა, არგუმენტად მოგვავთ, რომ შეეძლო ბურჯანაძეს ეს ხალხი სხვა ადგილას გადაეყვანა...

— 9 აპრილსაც მივიდა პატრიარქი და ხალხს მიმართა, რომ სხვა ადგილას გადასუყლიყვენ, ზუსტად იგივე მოხდა, ბურჯანაძემ სთხოვა ნონა გაფრინდაშვილს, იქნებ ვუთხრათ და ხალხი სხვა ადგილას გადავიყვანოთო. ნონამ უპასუხა, რომ ამას ვერ გავაკეთებ და რომ ვუთხრათ, მაინც არ დაიშლებიანო. თუ ვინმეს უნდა, რომ ხალხი გამოიყვანოს ბრძოლად, ეს არ გამოვა, რადგან ყველა ადამიანს, ვინც იმ საპროტესტო აქციაზე იდგა, თავისი ძალიან სერიოზული მიზეზი ჰქონდა და ნონა გაფრინდაშვილი და ნინო ბურჯანაძე კი არა, პატრიარქიც კი ამ მსცოვან ასაკში რომ მისულიყო, ხალხი არ დაიშლებოდა.

— რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რომელიც ძირითადად პრეზიდენტის კომპეტენციაში გადადის — რუსეთი და დასავლეთი — მარგველა შვილი და ბურჯანაძე ვის რა უპირატესობა ექნებოდა?

— გაითვალისწინეთ რამდენი დრო, ვიზიტი და შეხვედრა დასჭირდება მარგველა შვილს იმისათვის, რომ მხოლოდ გაეცნოს ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერებს. მინდა გათხრათ, რომ უმადლეს პოლიტიკურ დონეებზე ძალიან ხშირად საკითხი წყდება პირადი ნდობით და ნაცნობობით, მაშინ, როცა ეს უპირატესობა ბურჯანაძეს უკვე აქვს. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მარგველა შვილს ურთიერთობის სწავლაც დასჭირდება — სად რა და როგორ უნდა ილაპარაკოს, ეს ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციის ბოლო ვერსიით, პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

— ეს თვისებები ბაქრაძესაც გააჩნია...

— მოდით, ბაქრაძის თვისებებზე ნუ ვილაპარაკებთ, კაცი, რომელიც ომის დროს გამოვა და იტყვის საყოფაცხოვრებო ნივთები აიღეთ და მტერს ისე გაუმკვადითო, თითქოს სახელმწიფო ვიდლებული არ არის დაიცვას საკუთარი მოსახლეობა, მის უნარ ჩვევებზე ნუ ვილაპარაკებთ — არასერიოზულია.

ბაქრაძის დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილება არ ახსოვს თვითონ მასაც კი. ისიც ნუ დაგვავინცდება, ბოლოს და ბოლოს, დიდი დრო ხომ არ გასულა იქიდან, საკუთარი ოჯახის წევრების ტელეფონზე ნალაპარაკები ბიუჯეტითა აქვს გასტუმრებული. ცოტა ხანს საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო და სააკაშვილმა სასწრაფოდ მოაცილა, იმიტომ, რომ არანაირი უნარი ამ დარგში მას არ გააჩნია...

— როდესაც ყოველი ხელისუფლების კორფციული საქმიანობას ვხედავთ, ნინო ბურჯანაძისთვის ერთ ლარად გადაცემული აგარაკიც ახსენდებათ-ხოლმე...

— ათი თვეა, ეს ხელისუფლებაა მოსული. თითო ლარად აქვს გადაცემული, საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოსამართლეს თავმჯდომარის ჩათვლით, ბინები ბათუმში. რატომ არ ატყვის ერთი ამბავი, თუ ეს ასე დაუშვებელია. ჩვენ ვლაპარაკობთ ორგანის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელსა და რამდენიმე გზის პარლამენტის თავმჯდომარეზე. თუ მას ერთ ლარად აგარაკი არ ერეგებოდა, რატომ ერეგებოდათ ნაკვეთები, სახლები, ბინები მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს კი არა, რანგიტი გაცილებით დაბლა მყოფ მოხელეებს, სააკაშვილის ოჯახის წევრებს და ახლოობებს? ეს ახალი ხელისუფლება ერთგან რომ ხედავს ამ ერთ-ლარიან აგარაკს, სხვაგან რატომ ვერ ხედავს იგივე უბედურებას?!

— ბოლო დროს ხშირად მესმის, საექსპერტო წრეებში, რომ პრეზიდენტი ბურჯანაძე და პრემიერი ივანიშვილი იქნებოდა ის ტანდემი, რაც დღეს ძალიან სჭირდება ქვეყანას. თქვენ ბოზიცია როგორია?

— ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი იქნებოდა. ძალიან არ მომწონს პრემიერის განცხადებები პოლიტიკიდან წასვლის შესახებ. მან უნდა შეასრულოს დანაპირები, ამის შემდეგ ექნება წასვლის უფლება, იქამდე ეს ბრძოლის ველიდან გაქცევას ჰგავს, ერთი გაქცეული მთავარსარდალი გვახსოვს სააკაშვილის სახით და მეორე არანაირად არ გვინდა. ეს არ იმოქმედებს მის იმიჯზე კარგად და ყველაფერი, რაც გაუკეთებია, წყალში ჩაეყრება.

ესაუბრა ლალი ზირაძიშვილი

კვილი და ახალი მცოდნეები

ქაზიზინი საპრეზიდენტო კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებს და ხელისუფლებას მოუწოდებს - საჯარო მოხელეები საარჩევნო კამპანიას ჩამოაცილონ. ოპონენტთა ბრალდებების საპასუხოდ, უმრავლესობა საჯარო მოხელეებს აგიტაციის განწვევისაგან თავის შეკავებას ურჩევს.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ირინა იმერლიშვილის განცხადებით, საარჩევნო პროცესი ინტენსიურ ფაზაში შედის და გიორგი მარგველაშვილი ყოველდღიურ რეჟიმში მოსახლეობას ხვდება.

მისი განმარტებით, კამპანიაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ პარლამენტის წევრებს, პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოების წარმომადგენლებს, ასევე მათი მთავრობის თავმჯდომარეებს, საკრებულოს წევრებს, გამგებლებს, მერებს, გუბერნატორებსა და საქართველოს პრეზიდენტს.

ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ აღნიშნულ პირებს, საარჩევნო კოდექსის თანახმად, უფლება არ აქვთ, აგიტაციაში ჩართონ თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი პირები, აგრეთვე, მათ არ აქვთ უფლება, გამოიყენონ სახელმწიფო ავტომანქანა, სანავიგო, გარდა იმ თანამდებობის პირებისა, რომლებსაც სახელმწიფო დაცვა ემსახურება. აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან შევსულედაში, ან არის არასამუშაო საათები, - აცხადებს იმერლიშვილი.

კანონმდებლის განმარტებით, აგიტაციაში მონაწილეობის მიღება სრულად ეკრძალებათ საარჩევნო კომისიის წევრებს, ასევე მოსამართლეებს, შსს-ს, თავდაცვის, პროკურატურის, დაზვერვისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს, გენერალურ აუდიტორს, სახალხო დამცველს და დამოუკიდებელი მარგველაშვილი კომისიის წევრებს.

უმრავლესობის განცხადებით, ოპოზიცია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობს.

როგორც for.ge-ს უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა, პარლამენტმა ახალი საარჩევნო კოდექსი მიიღო და ვარაუდი არსებობდა, რომ საჯარო მოხელეების მხრიდან აგიტაცია აიკრძალებოდა, თუმცა, ცვლილებები ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

ამ ეტაპზე, დიდ ცვლილებებს ვერ ვხედავ. დიდი იმედი გვქონდა, რომ ყველაფერი აიკრძალებოდა, მაგრამ ჯერჯერობით, რეფორმა არ ჩანს. გასულ წელს,



ახლა მინისტრებს კალაუფლებს ნსკპზე პრანსკებს კარბად მოიბრებს!

გვაკრიტიკებდნენ, მინისტრები რატომ ეწვეიან აგიტაციას, რატომ მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში და ა.შ. მაგრამ ახალმა მინისტრებმა ყველაფერი ჩვენზე კარგად მოიგეს და შეირგეს კიდეც! მინისტრები და გამგებლები მარგველაშვილის არც ერთ შეხვედრას არ ტოვებენ. ადრეც ვამბობდი, რომ არასამუშაო დროს, პოლიტიკური თანამდებობის პირს შეხვედრაში მონაწილეობა შეუძლია, თუ ის სანავიგო თავისი ხარჯით ჩაასხამს, მაგრამ მაშინ, ალბათ, საქარია ქუცნაშვილის გამოსვლის პათოსი გახსოვთ, რომელიც ამბობდა, რომ მანქანებიც ავკრძალოთო. მათი განცხადებების შემდეგ, რა შეიცვალა?! ბევრი არაფერი, პირიქით, მათი მოქმედებები ახლა უფრო თვალშისაცემია, - ამბობს მაჭავარიანი.

კანონმდებლის შეფასებით, საჯარო მოხელეთა ქმედებები უკვე ხელისუფლებასაც ანუხებს, რის გამოც, მათი მხრიდან მონოდეტები ისმის.

როგორც ჩანს, მათმა მოქმედებებმა ხელისუფლებაც შეაწუხა, მაგრამ ამ საჯარო მოხელეებმა რეგიონებში, საკრებულოებისა და გამგებლების პოსტები აიღეს და მათ ახლაც, თავის გამოჩენა სურთ. ვინც წლების წინ გვაკრიტიკებდა, ახლა, ისინი აგიტაციის ჩვენზე უკეთ ეწვეიან. გამგებებსა და სამინისტროებს რა დავალებებიც აქვთ მიღებული, ეს სომ არ დაიმალება? - დასძინს მაჭავარიანი.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი საარჩევნო კამპანიაში გამგებლების მონაწილეობას აპროტესტებს და უწყებათაშორის კომისიას მიმართავს არსებულ ფაქტებზე რეაგირება მოახდინოს.

ახვლედიანის განცხადებით, სოფლის განვითარების პროგრამისთვის გამოყოფილი 50 მლნ ლარი მაისში, მაქსიმუმ, ივნისში უნდა დახარჯულიყო, თუმცა, ეს თანხა დღესაც არ არის დახარჯული და ამ თანხების ხარჯვა რამდენიმე კვირის წინ დაიწყო.

ეჭვი გვაქვს, რომ ეს თანხები მისადაგებული იქნება საარჩევნო კამპანიასთან. ისევე როგორც წინა ხელისუფლების პირობებში, ასევე დღესაც, გამგებლები სახელისუფლებო კანდიდატის კამპანიაში მონაწილეობენ და ეს ფაქტი დაფიქსირდა სენაკშიც. თუ ვითარება არ შეიცვალა, იგივე გაგრძელდება, რასაც ადგილი მთელი ცხრა წლის მანძილზე ჰქონდა. კამპანიაში გამგებლების მონაწილეობა გააპროტესტე, თუმცა, უწყებათაშორის კომისიაში განმაცხადეს, რომ კანონით, გამგებლებს კამპანიაში მონაწილეობის უფლება აქვთ. თუ ეს კომისია ქმედითი არ იქნება, მაშინ მას დიდი ბოქლომი უნდა დავადოთ და ჩავეკეტოთ, - აცხადებს ახვლედიანი.

ალსანიშნავია, რომ საარჩევნო პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე უწყებათაშორის კომისიაშიც ისაუბრეს, რომლის ხელმძღვანელიც იუსტიციის მინისტრი იყო ნუგუაიანი.

მინისტრის მტკიცებით, კომისიაში მისი თავმჯდომარეობის დროს არავის მიერ მონოდეტულ ინფორმაციას პროვოკაცია არ დაერქმევა.

გამგებელს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობას კანონი არ უკრძალებს, თუმცა, თუ გამგებელი ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური პრობლემებით დაკავდება, ეს უკეთესი იქნება, - აცხადებს მინისტრი, რომლის ინფორმაციითაც, კომისიის რიგით მეორე სხდომა 2 სექტემბერს გაიმართება, სადაც რეკომენდაციების პროექტი დამტკიცდება.

თეონა მანაბაძე

დაპირისპირება

ბ(ლ) დროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ რამდენჯერმე გააკრიტიკა ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ის სიტურუეში დაადანაშაულა. სიგუას რეაქცია პრეზიდენტის განცხადებებზე გამოიწვია, პრეზიდენტისა, რომელმაც დღევანდელ მთავრობას ტურიზმისადმი ზერელე დამოკიდებულება დაუწუნა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სათავეში მოსვლიდან სულ ერთ თვეში გიორგი სიგუამ განაცხადა, რომ საქართველოს ტურიზმის სტრატეგია იცვლება. ახალი სტრატეგიის მიხედვით, საქართველო უარს ამბობს ძვირად ღირებულ მთარკამპანიაზე დასავლეთის ქვეყნებში და მებობელ სახელმწიფოებში სარეკლამო აქტივობით შემოიფარგლება. ძირითად მიმართულებებს შორის სახელდება რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, თურქეთი და ასე შემდეგ. გიორგი სიგუას განცხადებით, მას ურჩევნია თანხები მიზნობრივ ბაზრებზე დაიხარჯოს:

„მე მირჩევია, რომ დაგზარჯო ფული იმ მიზნობრივ ბაზრებზე, საიდანაც არის პირდაპირი ავიაჩრები, საიდანაც არის უფრო რეჟიმი, საიდანაც არ არის ენობრივი ბარიერი. არაფერი მაქვს სანაწარმდეგო „სიენ-ენ“-ზე საქართველოს გარეკლამების, თუმცა ვთვლი, რომ იმ თანხად, რაც ეს ქალის, გაცილებით მეტი შედეგის მიღწევა შეიძლება უკრაინაში, პოლონეთში“.

„სიენ-ენის“ და „ბი-ბი-სის“ ტელეარხებზე საქართველოს სარეკლამო აქტივობის შეჩერება გააკრიტიკა საქართველოს პრეზიდენტმა. მისი განცხადებით, მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ტელეარხებზე საქართველოს რეკლამირებას ტურისტული გარდა სხვა დატვირთვაც ჰქონდა: „ერთადერთი, რაც აცოცხლებს დღეს საქართველოს ეკონომიკას, არის ჩემ მიერ, ჩვენ მიერ შექმნილი და მათ მიერ დაწუნებული ტურიზმი. მაგრამ ამას თუ მუდმივად წყალი არ უსხი, ეს გაიფურჩქნება და მერე დაჭკნება. წყალი არის უსაფრთხოება, წყალი არის რეკლამა, წყალი არის ქვეყანაში ზოგადი დადებითი

მოჭარბებული ტურიზმი ზოგჯერ ანბრებს და ანადგურებს ქვეყანას

კლიმატი. ამიტომ „სიენ-ენ“-ზე და „ბი-ბი-სი“-ზე რეკლამას სხვა ფუნქციაც ჰქონდა, უსაფრთხოების ფუნქციაც“.

მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის დატვირთვის დაბალ მაჩვენებელზეც ისაუბრა. პრეზიდენტის ასეთ განცხადებებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი გიორგი სიგუა გამოეხმაურა და მას სიტუაცია უწოდა. სიგუამ განაცხადა, რომ ტურიზმი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და სწორედ ამიტომ დათანხმდა შემოთავაზებულ თანამდებობაზე. მან საქართველოს სტუმრების ნაკადის მზარდ ტენდენციაზე ისაუბრა: „ივლისის თვეში მიმდინარე წელს დაფიქსირდა საერთაშორისო მოგზაურების რეკორდული რაოდენობა საქართველოში. ეს რიცხვი არის 609 ათას 189, არის აბსოლუტური რეკორდი ამ თვისთვის. ხოლო, 1 აგვისტოს მონაცემებით, 2013 წელს ჩვენ უკვე გვყავდა 2 მილიონ 797 ათას 910 ვიზიტორი. რაც შეეხება მიხეილ მიუნშაუზენისა და მისი დამკვეთების განცხადებას, თითქოს ქუთაისის აეროპორტი არ მუშაობს და მას საქართველოს მთავრობა ვერ უვლის, გეტყვით, რომ რეისების რაოდენობა 10 თვის მანძილზე გაიზარდა 710 პროცენტით“.

გიორგი სიგუას მიერ ნახსენებ ტერმინს „საერთაშორისო მოგზაური“ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც წინა ხელისუფლების დროს „ვიზიტორში“ იგულისხმებოდა.



თუმცა, მაშინ ოპოზიცია - ახლანდელი მმართველი პოლიტიკური ძალა - ვიზიტორსა და ტურისტს ერთმანეთისგან განსხვავებდა და იმჟამინდელ ხელისუფლებას სტატისტიკით მანიპულირებასა და ტურიზმისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებაში ადანაშაულებდა. შეგახსენებთ ტურიზმთან დაკავშირებით „ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე მმართველი პოლიტიკური ძალის, „ქართული ოცნების“ კანდიდატის ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებას: სეიშელის კუნძულებზე ყველაზე კარგი ადგილია ტურისტულად, მთელი გერმანია იქ ჩადის, ძალიან საინტერესო კუნძულებია, მაგრამ ძალიან ღარიბად ცხოვრობენ...“

„ნუ გგონიათ, რომ ტურისტების განუსაზღვრელი რაოდენობა ქვეყნისთვის სასარგებლოა. რაღაცა დონე არსებობს, იმის იქით საზიანოა და დამანგრეველი“.

ნოდარ ჯავახიშვილმა ეს აზრი გასული წლის მიწურულს გამოთქვა, ხოლო მიმდინარე წლის გაზაფხულზე ტურიზმის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივა-

ნიშვილმაც ისაუბრა: „მე აკვირდება დავარქმევდი სიტყვას, რაც გააჩნდა წინა ხელისუფლებას, მისი მეთაურობით, რომ ტურიზმი გადაარჩენს საქართველოს. მართო ტურიზმი ქვეყანას ვერ შეინახავს. ტურიზმი უნდა იყოს ერთ-ერთი და არა ძირითადი, რასაც მიგვაჩვია წინა ხელისუფლებამ, რომ ეს მოხდება და ოქროს ქვიშას ჩავიტანთ ბათუმში... ყოველდღე ყოველ გამოსვლაში აორმაგებდა ტურისტების რიცხვს“.

პრემიერ-მინისტრმა ეს განცხადება აპრილის თვეში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გააკეთა. არადა, ტურიზმი ახლა საქართველოს ეკონომიკის თითქმის ერთადერთი სექტორია, რომელიც კვლავაც განგრძობს ზრდას. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად „კავკასიის უნივერსიტეტის“ ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მაია სიდამონიძის აზრით, ქვეყანას, რომელსაც არ აქვს სხვა ბუნებრივი რესურსები, ტურიზმი შეუფასებელი სიმდიდრეა: „ეკონომიკური მნიშვნელობით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დარგი. ტურისტული დანახარჯები ასოცირებულია ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებასთან, რაც საექსპორტო შემოსავლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომლითაც საქართველო დღეს არ გამოირჩევა. მეორე მხრივ, ეს ძალიან კარგია რეგიონული განვითარებისთვის და პირდაპირ თითოეული მოსახლე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას იგრძნობს ამ სფეროს განვითარებასთან ერთად“.

მაია სიდამონიძის აზრით, ტურისტული ნაკადის ზრდის ტენდენცია წინა წლებში განხორციელებული პროექტების შედეგია და ამ ტენდენციას შენარჩუნება სჭირდება. მას ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად მიაჩნია ახალ ბაზრებზე სარეკლამო აქტივობა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კი ფიქრობს, რომ ტურიზმის ზრდას ძირითადად მეზობელი ქვეყნების ხარჯზე შეიძლება.

კახა მჭედლიძე, რალო „თავისუფლება“

დომტორი ფრენკსი ერთი წუთით ჩაფიქრდა. ახალ-გაზრდა ცოტა შეშფოთდა. „როგორ შეიძლება შეკითხვა ვინმეს სიცოცხლე გადაურჩინოს?“ – ფიქრობდა იგი.

– მისი შეშფოთება, – გააღვიძლა დოქტორმა ფრენკსმა. – „რას გააკეთებთ პირველ რიგში, როდესაც აქედან გახვალთ?“

არასოდეს დავფიქრებულვარ ამაზე, ფიქრსაც ვერ ვებედავდი. მაგრამ პასუხი ჩემთვის ნაცნობი იყო – მინდოდა, კვლავ მენახა ჩემი შვილები და ცოლი. და იმწამში გამახსენდა, რომ მაქვს ის, რისთვისაც შეიძლება ცხოვრება, არის მიზეზი, რის გამოც ყველაფერს გავაკეთებ, რომ გადავრჩე. ამ შეკითხვამ მე სიცოცხლე შემინარჩუნა, ვინაიდან დამიბრუნა რალაც დაკარგული – მიზანი, რისი გულისთვისაც უნდა იცოცხო!

– იმ წუთიდან ბრძოლა გადარჩენისთვის ჩემთვის უფრო იოლი გახდა, ვინაიდან ვიცოდი, რომ ყოველი განვლილი დღე მახსოვს ომის დამთავრებასთან და, მასწავლებელმა, ჩემი ოცნების აღსრულებასთან. ამ ჩინელის შეკითხვამ არა მარტო გადაამარჩინა – მან მომცა ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი.

– კერძოდ რა გასწავლათ მან? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– მიზნის ძალა.
– მიზნისა? – კვლავ შეეკითხა ახალგაზრდა.
– დიახ, მიზნისა, მიზანდასახულობისა, მისწრაფებისა საგნისადმი. მიზნები ჩვენს ცხოვრებას ანიჭებს აზრსა და შინაარსს. რა თქმა უნდა, შეიძლება იარსებო უმიზნოდაც, მაგრამ ნამდვილი ცხოვრებისთვის, ბედნიერი ცხოვრებისთვის ჩვენთვის აუცილებელია, რომ მასში იყოს აზრი. „უმიზნოდ, – წერდა დიდი ადამირალი ბერდი, – ჩვენი დღეები დამთავრდებოდა ისე, როგორც შეიძლება დამთავრდეს უაზრო დღეები, – სრული გასაღებებით“.

– რისი განადგურებით? – იკითხა ახალგაზრდამ.
– სულსა. თქვენ არასოდეს გაცუბდათ, რომ ასე ბევრი ადამიანი იწყებს დაავადებას და კვდება ძალიან მალე პენსიაზე გასვლის შემდეგ? თუ დაფიქრებულხართ, რატომ ამთავრებს თავისი სიცოცხლე ალკოჰოლიკად ან ნარკომანად ამდენი მდიდარი და სახელგანთქანი ადამიანი?

ახალგაზრდამ თავი დაუქნია. მას ხშირად აოცებდა ის, რომ ადამიანები ხდებიან „მოხუცები“, როგორც კი პენსიაზე გადაიან, და ყოველთვის აფიქრებდა ის, რომ ცნობილი ადამიანები, ვისაც, თითქოსდა, აქვს აბსოლუტურად ყველაფერი – ფუნქციონირებს სახლები, იმდენი ფული, რომელიც ეყოფა სიცოცხლის ბოლომდე, ოჯახები და ლეგენდარული კარიერები, – ასე ხშირად რატომ მიმართავენ ნარკოტიკებს ან სპირტიან სასმელებს და სიცოცხლეს თვითმკვლელობითაც კი ამთავრებენ.

– ამის ერთ-ერთი მიზეზი, – განუმარტა დოქტორმა ფრენკსმა, – არის მხოლოდ ის, რომ ისინი გრძობენ თავისი ცხოვრების უმიზნობას. ცხოვრება მათთვის კარგავს შინაარსს. როდისმე გაგიგონიათ ჰელენ კელერის შესახებ?

– კი. და, წარმოიდგინეთ, მხოლოდ წინა კვირას. მე უზნებოდნენ რომ მას უყვარდა სიცოცხლე მიუხედავად იმისა, რომ იყო ბრმა და ყრუ.

– სწორია. და იცით, რატომ უყვარდა იგი? – შეეკითხა დოქტორმა ფრენკსმა. – იმიტომ, რომ მან თავისი სიცოცხლეს აზრი მიანიჭა. როდესაც მას ეკითხებოდნენ, როგორ ახერხებდნენ ის იყოს ბედნიერი მისი ინვალიდობის მიუხედავად, იგი უპასუხებდა ხოლმე: „ბევრ ადამიანს სრულიად არ გააჩნია წარმოდგენა ბედნიერებაზე. მას ვერ მიაღწევს საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებით – აუცილებელია დასახული მიზნის ერთგულება“.

ადამიანის სულის ყველაზე ძირითადი მოთხოვნა ცხოვრების გააზრების აუცილებლობაა, და სწორედ ამას გვანიჭებს მიზანი.

მიზნები ქმნიან აზრსა და შინაარსს. როდესაც გვაქვს მიზნები, ჩვენ ვიცით, საითკენ მივდივართ, ვიცით, რომ მივდივართ რალაცისკენ. მიზნის უქონლობის გამო ცხოვრებას თითქმის არ აქვს აზრი და ჩვენ უბრალოდ მივყვებით დინებას. ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ ადამიანებს აქვთ მხოლოდ ორი განზრახვა – წამება და კმაყოფილება. მიზანი წარმართავს გონებას კმაყოფილებისკენ, მისი არქონა კი საშუალებას აძლევს მას, ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ გვერდი აუაროს ტანჯვას, მაგრამ მიზნებს შეუძლიათ, შეამსუბუქონ კიდევ ტანჯვა.

– არ ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი გავიგე, – თქვა ახალგაზრდამ. – როგორ შეუძლიათ მიზნებს შეამსუბუქონ ტანჯვა?

– ვთქვათ... კი, წარმოიდგინეთ, რომ მუცელი გტკივათ. ყოველ რამდენიმე წუთში მწვავე ტკივილებს შეტევები, იმდენად მტანჯველია, რომ წამოიყვირებთ ხოლმე. როგორ იგრძნობდით თავს?

– ვფიქრობ, სრულიად საშინლად.
– რას იგრძნობდით, თუ ტკივილები ხდება სულ უფრო და უფრო ძლიერი, შეტევები კი გახშირდნენ? შემოფოტებას თუ ალტაცებას?

– რა შეკითხვაა? როგორ შეიძლება იყო ალტაცებული ტკივილით? ეს უბრალოდ მაზოხიზმი იქნებოდა.

– სულაც არა! სამწუხაროა, რომ არასოდეს მოგიწევთ, იგრძნოთ თავი ორსულ ქალად! მან უნდა გაუძლოს ამ ტკივილს, მაგრამ მან იცის, რომ შედეგად გაუჩნდება ბავშვი. იგი შეიძლება მოუთმენლადაც კი ელოდებოდეს, რომ შეტევები გახდეს უფრო ხშირი, ვინაიდან მისთვის ცნობილია – ყოველი შეტევითი ტკივილები აახლოებს მას როგორც პატარის დაბადებასთან, ისე ტკი-

ვილების შეწყვეტასთან. მიზანი, შეგნებულობა, რაც დაკავშირებულია ამ ტკივილთან, საშუალებას აძლევს ქალს უფრო იოლად გადაიტანოს ეს ტკივილი.

ამავე მიზეზით ჩვენთვის გაცილებით მარტივია გადავიტანოთ მძიმე დროები, თუ არის რამე, რასაც მივალწევთ, როდესაც ეს პერიოდი დამთავრდება. არავითარი ეჭვი არ არსებობს იმისა, რომ ცხოვრებაში სწორედ მიზნის არსებობა მომანიჭა ის ძალები, რომელთა წყალობითაც მე გადავრჩი, ვინაიდან სხვაგვარად მე აუცილებლად აღარ ვიქნებოდი ცოცხალი. როდესაც ტყვეობაში დათრგუნვილ თანამომქმს ვხედავდი, მას იმასვე ვეკითხებოდი: „რას გააკეთებ, უნინარეს ყოვლისა, როგორც კი აქედან გახვალ?“ – და მისი სახე თანდათან იცვლებოდა, ხოლო იმისდა მიხედვით, თუ რასაც ის შეიგრძნობდა, რომ მას მაინც აქვს, რისი გულისთვისაც ღირს ცხოვრება, მის თვალებში შუქი ინთებოდა. მას ჰქონდა მომავალი, რისკენაც ღირდა რომ გესწრაფა და ისიც არ ტოვებდა შესაძლებლობას, გადაეტანა ყოველი დღე, ვინაიდან ესმოდა, რომ ეს დღე ოდნავ აახლოებდა სანუკვარ მიზანთან. და კიდევ რალაც მინდა გითხრათ: როდესაც ვხედავდი ასეთ გასაოცარ



ცვლილებებს ხალხში და მესმოდა, რომ ამაში გარკვეული როლი შევასრულე, ალტაცების გრძნობა მეუფლებოდა. ასე გახდა ჩემი ერთი მიზანი ყოველდღიური დახმარება მათთვის, ვისი დახმარებაც შემეძლო.

ერთ-ერთი საიდუმლო იმისა, თუ როგორ დავძლიოთ ცხოვრების ცუდი პერიოდები, მთლიანად ემთხვევა ცხოვრების სისრულის საიდუმლოებას საუკეთესო პერიოდებში. ეს საიდუმლოა – მიზანი. თუ მიზანს შეუძლია გამოიწვიოს ნება ცხოვრებისთვის ბანაკის სამხედრო ტყვეებში, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სარგებელი შეუძლია მან მოუტანოს ჩვეულებრივ ადამიანებს.

ომის შემდეგ მომიწია მონაწილეობა მიმდებარე ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთ მეტად საინტერესო გამოკვლევაში. ჩვენ 1953 წლის ყველა კურსდამთავრებულს მივმართეთ შეკითხვით იმის შესახებ, თუ აქვთ მათ მიზანი ცხოვრებაში, თუ გრძნობენ მიზანდასახულობას. როგორ ფიქრობთ, სტუდენტების რა ნაწილს ჰქონდა კონკრეტული მიზნები?

– ნახევარს, – შეეცადა გამოეცნო ახალგაზრდა.
– სამ პროცენტზე ნაკლებს! – წამოიყვირა დოქტორმა ფრენკსმა. – წარმოგიდგენიათ, მხოლოდ ასიდან სამს ჰქონდა რალაც წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა უნდათ მათ ცხოვრებისგან!

შემდეგი ოცდახუთი წლის განმავლობაში ჩვენ თვალყურს ვადევნებდით მათ წარმატებას და აღმოვაჩინეთ, რომ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ამ სამ პროცენტში შედიოდნენ, ვისაც მიზნები ჰქონდა, ჰქონდათ უფრო მყარი ოჯახები, უკეთესი ჯანმრთელობა და უფრო მაღალი ფინანსური მდგომარეობა, ვიდრე დანარჩენ ოთხმოცდაჩვიდმეტ პროცენტს ერთად აღებულს. ამრიგად, სრულიად არ იყო გასაოცარი, რომ მათ ჩამოუყალიბდათ უკეთესი – გაცილებით უკეთესი! – ბედნიერი ცხოვრება.

– რატომ მიგაჩნიათ, რომ მიზნის ქონა ადამიანებს უფრო ბედნიერს ხდის? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– იმიტომ, რომ ვიკრებთ ენერჯიას არა მხოლოდ საკვებიდან, არამედ ჩვენი ენთუზიაზმიდანაც, ენთუზიაზმი კი ჩნდება მიზნების არსებობის, მისწრაფების საგნის, იმის წყალობით, რაზეც ადამიანი ოცნებობს. იმის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, რომ ასე ბევრი ხალხი მიიჩნევს თავს უბედურად, არის ის, რომ ისინი თავიანთ ცხოვრებაში ვერ გრძნობენ ვერც აზრსა და ვერც მიზანს. მათ არაფერი აქვთ ისეთი, რისთვისაც შეიძლება წამოდგარიყო ლოგინიდან დილაობით, მათ არ გააჩნიათ არც მიზნები, არც შთამავლებელი ოცნებები. ისინი უმიზნოდ მიჰყვებიან ცხოვრების დინებას ისე, რომ სწორი მიმართულება არა აქვთ.

– თუ ვიცით, რისკენ უნდა ვისწრაფოდეთ, – განაგ-

რძობდა დოქტორი ფრენკსი, – გვგონია, რომ სტრესები და ცხოვრების დაძაბულობა სრულიად ქრება. ისინი მხოლოდ დაბრკოლებად იქცევიან, რომლებიც უნდა დაეძლიოთ, რომ მივალწიოთ მიზნებს. ამიტომ ვურჩევ ყველა პაციენტს, შეისწავლონ „საქანელას მეთოდი“.

– ეს რალაა? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– ესაა მეტად მარტივი ვარჯიში, რომლის დროსაც წარმოიდგენთ, რომ გაიარეთ მთელი თქვენი ცხოვრება და ახლა ზიხართ საქანელაში და ფიქრობთ იმის შესახებ, როგორ იცხოვრეთ და რას მიაღწიეთ. რისი გახსენება გესიამოვნებოდა? რა ურთიერთობანი შეიქმენით ადამიანებთან? და რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, როდესაც ზიხართ ამ საქანელაში, – როგორი ადამიანი გინდოდათ, რომ ყოფილიყავით?

ახალგაზრდამ შენიშვნები გააკეთა ბლოკნოტში. ეს იყო მეტად ღრმა შეკითხვები, რომლებიც არასოდეს დაუსვამს თავისი თავისთვის.

– ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ჩვენი ხანგრძლივი მიზნები. შემდეგ იმასვე ვაკეთებთ ხანმოკლე მიზნებთან დაკავშირებით – ათი და ხუთი წლისთვის, ერთი წლისთვის, ნახევარი წლისთვის, ერთი თვისთვის და ყოველი დღისთვისაც კი. შემდეგ ვურჩევ ჩემს პაციენტებს, ჩაინერონ ყველა ეს მიზანი და წაიკითხონ ხოლმე ისინი ყოველ დღით. ამის წყალობით ადამიანს ყოველთვის აქვს ის, რისი გულისთვისაც დგება დილაობით საწოლიდან, რომლის წყალობითაც ისინი მგრძობენ ძალებისა და ინტერესების მოზღვავებას.

– მე შეეცადებო, გავაკეთო ეს, – თქვა ახალგაზრდამ. – ყოველთვის მიჭირს ხოლმე დღით ადგომა.

– ამას გარდა, მეტად სასარგებლოა დროდადრო გადავიკითხოთ ხოლმე ჩვენი ჩანაწერები დღის განმავლობაში და გავაკეთოთ ეს ყველაფერი ძილის წინ, რომ ჩვენი მიზნები აღიბეჭდოს აზრებში.

– რა უნდა გავაკეთო, თუ შეიცვალა ჩემი შესედეულებები და გადავწყვიტე, რომ რომელიღაც მიზანი უკვე აღარ მაინტერესებს? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– კარგი შეკითხვაა. ჩვენი ცხოვრებისეული პრიორიტეტები და ღირებულებანი მართლაც იცვლება წლებების განმავლობაში, ასე რომ ჩვენთვის საკმარისია, შესაბამისად შეეცვალოთ ჩვენი მიზნები. აი, რატომაა საჭირო, რომ „სავარძლის მეთოდი“ გამოვიყენოთ რეგულარულად – თუნდაც ერთხელ ნახევარი წლის განმავლობაში. ამის შედეგად თქვენს წინაშე ყოველთვის იქნება სწორედ ის მიზნები, რომლებსაც შევეწირებით მთლიანად, რომლებიც ჩვენ ცხოვრებას ანიჭებენ გააზრებულობასა და შინაარსიანობას, რომლებიც აჩვენებენ ენთუზიაზმს და ხედვებზე ჩვენი შემგუბრანებულები.

მიზნები ჩვენს ბედნიერებას უყრიან საფუძველს. ხალხს ხშირად მიაჩნია, რომ ბედნიერების ძირითადი პირობები კომფორტი და ფუფუნებაა, მაგრამ სინამდვილეში ბედნიერებისთვის ჩვენ უნდა გვექონდეს ის, რაც ჩვენში ენთუზიაზმს გამოიწვივდა. სწორედ ესაა ჭეშმარიტი ბედნიერების ერთ-ერთი უდიდესი მუღამი – ცხოვრებაში არაა ხანგრძლივი ბედნიერება, თუ მას არა აქვს აზრი და მიზანი. ესაა მიზნის არსი.

– თუ შეხვედრიხართ კიდევ მოხუც ჩინელს? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– არა. გულახდილად რომ გითხრათ, ერთხანს დარწმუნებული ვიყავი, რომ ის უბრალოდ ჰალუცინაციაა, ჩემი წარმოდგენის ახირება იყო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ის არასოდეს მინახავს არც მანამდე, არც შემდეგ. იცით, ელვარე მზეს გონებასთან ბევრი სხვაგვარი რამაც შეუძლია გაითამაშოს. მაგრამ მალე, ომის შემდეგ მე გავიგე, რომ ის მართლაც არსებობს.

– როგორ? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– ერთი ახალგაზრდისგან მივიღე წერილი. ამ ჭაბუკმა გაიგო ჩემი სახელი მოხუცი ჩინელისგან! იმავე საღამოს ახალგაზრდამ წესრიგში მოიყვანა ყველა თავისი ჩანაწერი, რომლებიც ამ საუბრის დროს გააკეთა.

ჭეშმარიტი ბედნიერების მისაღწევა
- მიზნის ძალა

- მიზნები ჩვენს ცხოვრებას აზრსა და შინაარსს ანიჭებენ.
- მთელ გვაქვს მიზანი, ყურადღებას კმაყოფილების მიღწევაზე ვამახვილებთ და არა წამებისგან გათავისუფლებაზე.
- მიზანი ხდება ის, რისთვისაც შეიძლება წამოდგე ლოგინიდან დილაობით.
- მიზნები ძნელ მეროდებს ხდიან უფრო მსუბუქებად, კარგ დროს – კიდევ უფრო სასიამოვნოდ.
- „სავარძლის მეთოდი“ საშუალებას გვაძლევს, ავირჩიოთ მიზანი როგორც მთელი ცხოვრებისთვის, ისე გარკვეული, უფრო მოკლე ვადებისთვისაც. ჩაინერეთ ყველა თქვენი მიზანი და გადაიკითხეთ ხოლმე ისინი: როგორც კი გაიღვიძებთ დღით, დროდადრო დღის განმავლობაში; პირდაპირ დაძინების წინ.

• ნუ დაივიწყებთ გაიმეორეთ „სავარძლის მეთოდი“ თუნდაც ორჯერ წელიწადში, რათა დარწმუნდეთ, რომ არ დაგვიკარგავთ ინტერესი თქვენი მიზნებისადმი.

(ბაზრქილია იმინა)

თაღლითაზი მოგვარდნა

შპანსსენი პერიოდში ბევრი ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სულ უფრო და უფრო ხშირად გაიფიქრეს ხოლმე ყოფილი ყაზახი ოლიგარქის მუსტარაბალიაზოვის გვარი, თანაც ზოგიერთ ევროპულ გამოცემაში მას წარმოგიდგინენ, როგორც დემოკრატიის ჯარისკაცს. სხვაგვარად მიიჩნევენ მის სამშობლოში, სადაც მასზე საუბრობენ, როგორც ყალბაბანდზე აზიიდან, რომელმაც გაძარცვა ყაზახეთის ერთ-ერთი უდიდესი ბანკი.

მოპარული მილიარდებით, როგორც ამბობენ, მან გაშალა აქტიური პოლიტიკური საქმიანობა, რამაც საშუალება მისცა მას მშვიდად დამალვოდა სამართალდაცვას ნოსტიან ალბიონში. ინგლისელებმა ცხელ გულზე მას პოლიტიკური დევნის სტატუსი მიანიჭეს, რის შესახებაც მალე ინანეს და ამჟამად დგანან რიგში იმის მსურველთა შორის, ვისაც სურს თავხედი ყალბაბანდი ცხისკენ გაისტუმროს. იგი ხომ მათგანაც გაიქცა, როდესაც ადგილობრივ სასამართლოში ცუდი სუნი დატრიალდა. გულუბრყვილო ბრიტანელები ფიქრობდნენ, რომ, რახან ასე მალე ჩამოართვეს აბლიაზოვს პასპორტი, ის მორჩილად იქნებოდა თავის ვილაში განაჩენის მოლოდინში. მაგრამ ოლიგარქი ცინიკურად იფურთხებოდა მსოფლიოში ყველაზე მგრძობიარე თემიდის მისამართით, დაიმალა საფრანგეთში და წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა ინკოგნიტოს მდგომარეობას. პარადოქსულია, რომ ამავე დროს ეწეოდა აქტიურ ცხოვრებას ინტერნეტში, მარცხნივ და მარჯვნივ გასცემდა ინტერვიუებს, იმდენად შეიჭრა დისიდენტის როლსა და ყაზახეთში მოქმედი ოპოზიციონერის როლში, რომ თავდაც, ალბათ, ეს ინამა. ასეთია სამართალდაცვისგან დევნილთა ცხოვრების სპეციფიკა — თუ გსურს დარჩე დასავლეთში, ჩაენერე უმცირესობაში... და აი, რა დაკვირვებაა, რამდენადაც მეტი აქვთ დევნილ დემოკრატებს ფული, მით მეტად სჯერათ მათი სიტყვებისა.

მორიგი საინფორმაციო შეტევა ამჟამად მოდის საფრანგეთიდან, სადაც დევნილი, როგორც იქნა, დააკავეს ლაჟვარდოვანი სანაპიროს ერთ-ერთ მდიდრულ ვილაში. როგორც ყაზახეთში მიაჩნიათ, ამას აკეთებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებსაც უხვად ჰყვებოდნენ დანაშაულებრივი სინდიკატიდან, რასაც დევნილი ოლიგარქი მართავს. აღნიშნავენ, რომ მისი ბედის გამორეგების შიშით ხმა ამოიშვა ისეთებმა, როგორებიცაა აბლიაზოვია — ფსევდოდემოკრატებმა შევიცარიიდან და მალტიდან — ვიქტორ ხრაპუნოვმა და რახატ შორაზმა (ალევიშა). არავითარ შემთხვევაში არ გადასცეთ აბლიაზოვი არც უკრაინას, არც რუსეთს, არც ყაზახეთს — წერენ ოპოზიციონერები, რომლებმაც გაიგეს იმის შესახებ, რომ დადგა საკითხი მისი ექსტრადიციის შესახებ. რატომ არ გადასცენ? ეს როგორ — იგი ხომ ოპოზიციონერია და მას იქ წამება ელოდება!!! პანიკური ნოტიები გამოქვეყნებულ შემთხვევითი როდია. ევროპა გახდა უფრო ფრთხილი დევნილ დამნაშავეებთან მეგობრობაში და უკანასკნელ პერიოდში წავიდა მთელ რიგ დათმობაზე. იმავე აბლიაზოვის ბევრი მიმდევარი ბრუნდება ხელბორკილებით ყაზახეთში, სხვა დამნაშავეებს ნინააღმდეგ ხდება საპროკურორ შემონიშნება პროვოცირება. ეს ამინებს დევნილებს, აიძულებს მათ, უფრო აქტიურად მოგვიწოდონ სამოქალაქო პატიოსნებისკენ და სულ უფრო მეტად იჭაჭებინან, თავს წარმოგიდგინენ ოპოზიციად დევნილობაში, და ამავე დროს, რასაკვირველია, ამზადებენ გზებს უკან დახვევისთვის. კირკიტა ყურნალისტებმა, მაგალითად, გამოარკვიეს, რომ სრუპუნოვების წყვილის ცხოვრების ძირითად ადგილებში



ოლიგარქი რამდენივე პასპორტით

— შევიცარიიში ერთ-ერთ ვილაში და ჟენევის ერთ-ერთ ბინაში „უკვე მრავალი დღეა საღამოობით ფანჯრებში შუქი არ მოჩანს“.

ამ დროს, როგორც პრესაში წერენ, მაგალითად, ვიქტორ ხრაპუნოვს ეკავა საკმაოდ მაღალი პოლიტიკური თანამდებობა ყაზახეთში და არასოდეს არ მეგობრობდა ოპოზიციასთან, როდესაც იყო ერთ-ერთი პოლიტიკურად ყველაზე აქტიური ქალაქის ალმატის მერი. სხვაგვარად მოაზროვნეთა რიგებში შევიდა უკვე შევიცარიიში, სადაც გაექცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მეორე პერსონა — რახატ ალიევი-შორაზი სათავეში ედგა ყაზახეთის სპეციალურ სამსახურს და მას ბრალი ედებოდა რეიდერობაში, მკვლელობასა და სხვა ცოდვებში. გასაგებია, რომ, თუ მას კონტაქტი ჰქონდა ყაზახეთის ოპოზიციასთან, მხოლოდ ბარიკადების მეორე მხარეს.

აი ასეთი მცველები ჰყვანან აბლიაზოვს! და თავად მასაც, თუმცა შემოსვენებული ორი პერსონისგან განსხვავებით, ჰქონდა თავისი ჯიბის პარტია და მხოლოდ ერთი მიზნისთვის — თავისი ბიზნესინტერესების დასაცავად, აღნიშნავს ყაზახეთის პრესა.

ფრანგები, ამ დროს, ერთგვარად შემოფოთებული არიან იმ შემოქმედების გამო, რასაც მათზე ახდენენ. საინფორმაციო პრესინგი, საზოგადოებრიობის აზრის ჩართვით, ისეთია, რომ აბლიაზოვი წარმოგვიდგება ლამის ეთნიკურ გმირად, რომელიც მარტოდმარტო იბრძვის მსოფლიო ავტორიტარზმის წინააღმდეგ. და საჭიროა მისი არა მხოლოდ გაშვება, ტახტის შეცვლა ჩვეულებრივი ექვსი საძინებლით ცალკე სახლში, არამედ, აგრეთვე, შეიძლება დააჯილდოონ კიდევ.

არ ვიცით, რა დანაშაული ჩაიდინა აბლიაზოვმა იქ, მაგრამ ჩვენთვის მაჩვენებელია ის, რომ მას მისცეს პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში, — წერენ ადგილობრივ პრესაში ერთგვარად პატივსაცემი ადამიანები, რომლებსაც ეჭვიც არ გააჩნიათ, რომ ბრიტანელები უკვე დიდი ხანია ეძებენ დევნილ ოლიგარქს.

აბლიაზოვის დაცვისთვის გაჩენილი ხმების ფონზე, აღნიშნავენ ყაზახეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რამდენადმე ვერ თავსდება საერთო კალაპოტში

ყოფილი ოლიგარქის ბავშვების გამონათქვამები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი მამა საფრანგეთის ტერიტორიაზე იმყოფება კანონიერ საფუძველზე. ეტყობა, ეშინიათ იტალიური ისტორიის გამეორებისა, როდესაც მიგრაციული კანონმდებლობის დარღვევისთვის რომიდან ყაზახეთში ესტრადირებული იყვნენ მისი ცოლი და ქალიშვილი.

თუმცა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სვამენ შეკითხვას: „როგორ შეეძლო აბლიაზოვს ყოფილიყო საფრანგეთში ლეგალურად, თუ მას პასპორტი ჩამოართვეს ლონდონის უმაღლეს სასამართლოში, სასამართლო საქმის ფარგლებში, რომელიც ინიცირებული იყო საბანკო ყალბაბანდობის ფაქტით?“ ოლიგარქმა ყველა სამართლო წააგო, თუმცა ნერვები მოუშალა ინგლისის სამართალდაცვას საფუძველიანად. ჩნდება კიდევ შეკითხვები: „როგორ მოახერხა ბატონმა აბლიაზოვმა ლეგალიზება? რა მიზეზით შეძლო მან მშვიდად გადაადგილება ევროპის ფარგლებში, თუმცა, ინტერპოლის მიერ იყო ძებნილი?“ ყველაფერი მარტივად აიხსნება: საბრალლო ოლიგარქს პასპორტების მთელი შეკვრა აქვს ცხოვრების ყველა შემთხვევისთვის.

მაგალითად, დაპატიმრების დროს საფრანგეთის ხელი-სუფლებას მან წარუდგინა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პასპორტი. ამ დროს დოკუმენტი შეიცავს მის ფოტოგრაფიას, თუმცა, მასში მითითებულია სხვა ადამიანის სახელი. ეს განა ლეგალურია? „ეგზოტიკურ დოკუმენტებს“ შორის მას აქვს, აგრეთვე, ყირგიზეთის ორი პასპორტი. სხვათა შორის, ამ ქვეყანაში აღძრეს სისხლის სამართლის საქმე მათი უკანონო გაცემის ფაქტთან დაკავშირებით.

აბლიაზოვის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ყველაფერი კანონიერია. მაგრამ ნუთუ ორმაგი მოქალაქეობა გულისხმობს სახელისა და გვარის შეცვლას? თანაც გაურკვეველია, რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს აბლიაზოვს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასთან, სადაც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სამი სამხედრო გადატრიალება მოხდა? ეს რესპუბლიკა, რომელიც, სამართალდაცვის ორგანიზაციების შეფასებით, და რის ციტირებასაც ხშირად ახდენს აბლიაზოვი ყაზახეთში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დარღვევებთან დაკავშირებით, სიტუაციას უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით აფასებს, როგორც საგანგაშოს. კიდევ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების წესები ვარაუდობს ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნის საკმაოდ ხანგრძლივ ვადებს, აღნიშნავენ ყაზახეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა თავად აბლიაზოვს, და არც მის ცოლს (სხვათა შორის, სხვა გვარით) მიეღოთ ასეთი პასპორტები. ამიტომ ეს სიტუაცია უნდა განვიხილოთ კორუფციის პრიზმით.

თუ საფრანგეთს არა სწამს ბრიტანეთის სამართალდაცვისა, შეეკითხონ თავიანთ ბანკირებს. დევნილი ოლიგარქის მოქმედებისგან ინფორმალური საფრანგეთის მრავალი დიდი საფინანსო ინსტიტუტი.

და, რასაკვირველია, უნდა მოეფიქრონ კრედიტორებსაც, და არ უნდა გაუშვან აბლიაზოვი, მით უმეტეს გირათი, ზღაპრული ფული, რასაც ადვოკატები გვთავაზობენ იმისთვის, რომ გამოიყვანონ იგი ვირის აბანოდან, სინამდვილეში მას არ ეკუთვნის...

ნიკო თაფლორაძე

ამო

„იქნებ სოტა უფრო ღრმად დაკვირვებულიყავით, ქართველებო!..“

წაპოთხვისთანავე ვიფიქრე — ამას უფროდ გამოვეხმაურები-მეთქი. ვე მიბტიმ, რომ პუბლიკაცია ჩემთვის ახლობელ და მტკივნეულ საგანს ენება — მშობლიური ენის ღირსებას, ქართულისა, რომელსაც შესანიშნავი არგენტინელი ფილმის „ჩემი საბრალო, საყვარელი დედა“ წიაღ გუნებაში ასე მოვისხენიებ ხოლმე: ჩემი საბრალო, საყვარელი ენა (ჩვენს ხელში, ჩვენივე ენა-პირით რომ გამხდარა საბრალო).

გურამ ნიკლაურის წერილს ვგულისხმობ „ენის წახდენა და ერის დაცემა ჩვენივე უჭკუობით?!“ („სრ“, 20 აგვისტო), რომლის პათოსსაც სრულად ვიზიარებ. დიახ, უკვე გავხდით ქართული მიშვებულობის, გულარხინობის, გაუტანლობის თუ უგერგილობის წყალობით ენაწამხდარი და დაცემული ერი და ვინ იტყვის, ფეხზე როდის წამოვდგებით და წელში როდის გავიმართებთ...

იმ დიდმა ქართველმა, იმ სწორუბოვარმა ერის წინამძღოლმა და ბრძენმა მოძღვარმა წმინდა სამება გამოგვიყო და დაგვიტოვა მისახედად თუ მოსავლელად, მარადიულ საზრუნავად: მამული, ენა, სარწმუნოება (სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით). მამულს როგორც მივხედე და მოვხედე, კი ვხედავთ, კი მოჩანს აგრე (როცა ამდე-

ნი მინა-წყალი აღარ „მოჩანს“), — ხელთ გაოთხმებუთედებული, თითქოს მაკრატლით შემოჭრილი საქართველო რომ შეგვჩა და იმ „მარტალის“ გაგდებას არც აპირებენ... სარწმუნოებასაც გვარიანად გვიღახავენ და გვიბლაღვენ, გინდა — გვიჯანჯღარებენ და ქართული მინების (შემორჩენილის!) „ამეჩეთება“ ამის უტყუარი საბუთია. ჰოდა, ასეთ საგანგაშო ფონზე ენა მაინც დაცვივათ, ენას მაინც გადავეფაროთ გულისტვივლით, გულშემატიკვირობით, ერთგულებით, შეგნებითა და ცოდნით და რაც მთავარია — პატივისცემით, რისკენაც მოგვიწოდებს კიდევაც გურამ ნიკლაური. მან ის საგულისყურო (თუ გნებავთ, „სათვალისყურო“ და „საყუროსყურო“) ამბავიც გაგვახსენა, იტალიაში ოფიციალურ შეხვედრაზე რომ გადახდენია ამ „ჩვენს“ „პერპეტუუმ“, მაგრამ გასაპანჩურებელ პრეზიდენტს: როცა ინგლისურად აუღურტულეულა, იქაურ პირველ პირს შეუჩერებია და უთქვამს — ან ქართულად გველაპარაკეთ, ან იტალიურად, აქ ინგლისური არაფერ შუაშიაო. ყოჩაღ, იტალიის პრეზიდენტო, მარჯვედ აგინევია ყური ამ უადგილოდ და უდროოდ „გაინგლისლებული“ გრძელობისთვის...

აქვე სათქმელად, არ ვიცი, როგორი ინ-

გლისურით „უბნობს“ მიხილ სააკაშვილი, მაგრამ ქართული როგორიც ეხერხება, ქართულად როგორც მეტყველებს, ვიცი ეს მე! ღმერთი, რჯული, არაფერს არ ვერჩი შექსპირის, ბაირონის, დიკენსის ენას, მაგრამ მთელი დარჩენილი საქართველოს გაინგლისურებას რომ აპირებენ, ინგლისურ „რელსებზე“ გადაყვანას რომ გვიპირებენ მშობლიური ქართულის უკანა პლანზე გადაწვივის (და კიდევ დიდი რუსული ენის დაჩრდილების, ჩაბშობის) ხარჯზე თუ ფასად — ამას ვჭივი! ჯერ წიგნიერი, გამართული ქართული ისწავლონ ჩვენმა ბავშვებმა, მოზრდილებმა, ტელეჟურნალისტებმა, პარლამენტარებმა თუ მინისტრებმა თავიანთი მოადგილეებთან და ინგლისურად მერე აჭიკჭიკდნენ. ჯერ ჩემო და ჩემო ქართული და მეჩვე სხვისო და სხვისო ინგლისური!

...წერილში, რომელსაც ვხედავრებით, ჩინეთის ელჩთან გამოსოხვების საღამოა აღწერილი. ჰოდა, როცა მიკროფონთან მისული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალალანია დამტკრეული ინგლისურით ალაპარაკებულა, იმასაც მოუხდებოდა შეფუცხუნება: ბატონო დავით, ჩინეთის ელჩის გაცილებისას თუ ჩინური იცით, ჩინურად ისაუბრეთ, თუ არა და ქართულად, რა შუაშია აქ ინგლისური!..

ხალხო, ახლა ტელეეკრანის ქართულიცა და პრესის ქართულიც მძიმე ყოფაშია, სავალალოდ გაისმის და გამოიყურება! ურიგო არ იქნება, მაგალითად, თუ ტელეარხების (არა ტელევიზიების, როგორც ახლა მოდურად ქცეულა) ხელმძღვანელები ქართული ენის სპეციალისტს აიყვანენ, ეკრანთან დასვამენ და სამუშაო დღის სიგრძეზე მოსმენილ ენობრივ „მარგალიტებს“ გაარჩევენ მთელს კოლექტივთან, „ეგებ ცოტა მოიჯობინდეს“ ტელეჟურნალისტების ენა-პირი... პრესას რაც შეეხება, განა უცნაური არ არის, რომ ერთი „კითხვადი“, „გაყიდვადი“ გაზეთი ქართული მართლწერის დამკვიდრებული ნორმების სრული უგულებელყოფით, საკუთარს შემოღებით, სისტემატურად და ჯიუტად წერს „არცერთი“, „ვერცერთი“, „მითუმეტეს“, „სხვათაშორის“ და სხვა მისთანებსაც? ჩემთვის ისიც გულსაკტუნია, რომ განუზეთი, რომელიც მემშობლიურება, სადაც იმდენი კარგი მექართულე მეგობრებია, რომ ჩემი ფიქრით, სამაგალითო უნდა იყოს სხვა განუთებისთვის — ენობრივი თვალსაზრისით შიგადაშიგ სცოდავს ხოლმე...

...ჩემი გამოსხაურების სათაურს რაც შეეხება, ხსენებული წერილიდანაა აღებული, წინწკლებშიც იმიტომ ზის...

თამაზ ევანოიძე

© ვაი, სირცხვილი!

ათენის სინეზი ჩაყრილ 80 ქართველს კიდეც ერთი ღაბაბა...

სანდრო ბირგვლიანის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებული, საბერძნეთში დაკავებული დაავადებული ჩხიტუნძე ათენში, საექსტრადიციო საპროცესო სტადიონზე...

სანდრო ბირგვლიანის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებული დავით ჩხიტუნძე ათენის საპროცესო სტადიონზე



უბედურება ისაა, რომ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს, დავით ჩხიტუნძე წამების გამო არის მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში...

ყველაზე მთავარი კი ადვოკატისთვის ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ჩხიტუნძემ გაიგო, რომ მის მიმართ გაცემული იყო დაპატიმრების ბრძანება...

დიპლომატიური პასპორტის წარდგინებას იგი დააკავებს და ცინეზი დაიბრუნდება. ამდენად, საექსტრადიციო სტადიონზე 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

დალი იმნაიშვილი აცხადებს, რომ ჩხიტუნძეს ედავებოდა, რომ მან ერთ-ერთი მსჯავრდებული - ალანია 2006 წელს გამოიყვანა საპროცესო სტადიონიდან და მამის დასაფლავებაზე წაიყვანა.

სამი დღეა, იგი დაჭრილია და თავის ქალა აქვს დაზიანებული. რა იარაღი გამოიყენეს მის წინააღმდეგ, არ ვიცით. ამიტომ დასმარებას ვითხოვთ, რათა ეს ტრაგედია არ განმეორდეს.

სანდრო ბირგვლიანის საქმეზე დავით ჩხიტუნძეს ბრალად წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული...

მანანა ნოზაძე

© უნდა იყოს მინიმუმ 250 ლარი!

„არბასაზრდელი“ საარსებო მინიმუმი

საბრძანებო მინიმუმი, გაზრდის ნაცვლად, მცირდება. მართალია, ქვეყანაში წლის დასაწყისიდან მოყოლებული დეფლაცია და ფასებიც დაბლა მოდის...

„საკსტატის“ მონაცემებით, 2013 წლის ივლისში საარსებო მინიმუმი 144,8 ლარით განისაზღვრა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1,70 ლარით არის შემცირებული...

2013 წლის ივლისში, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 128,2 ლარი შეადგინა (2012 წლის ივლისში - 129,7 ლარი), საშუალო ოჯახისა - 242,8 ლარი (2012 წლის ივლისში - 245,7 ლარი).

ყველაზე მაღალი ცნობილია, რომ 1 სექტემბრიდან პენსიები იზრდება. 150-ლარიანი პენსიის დანესების მთავარ არგუმენტად საარსებო მინიმუმი სახელდება.

სანამ მინიმუმის მეთოდოლოგია შეიცვლება, საარსებო მინიმუმი კლებას განაგრძობს. მისი გამოანგარიშება ხდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 2003 წელს დადგენილი კალათის მი-

ხედვით, რომლის 70 პროცენტს ადამიანის არსებობისთვის საჭირო რაოდენობის პროდუქტები შეადგენს, ხოლო დანარჩენს აუცილებელი სერვისები. ამ პროდუქტების ფასების შეჯამებით განისაზღვრება საარსებო მინიმუმის მოცულობა.

სწორედ ამას აკრიტიკებენ სპეციალისტები. სტატისტიკის ექსპერტის სოსო არჩვაძის აზრით, დღევანდელი საარსებო მინიმუმი „მოძველებულია“ და სინამდვილეს ვერ ასახავს.

მისი განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს ზოგიერთი ისეთი საქონელი, რომელიც ადრე არ მოიხმარებოდა, მაგრამ დღეს ყოველდღიურობა უშიშროდ წარმოუდგენელია. მაგალითად, მობილური ტელეფონი ჩვენი ყოფის ნაწილი არ იყო, დღეს კი მნიშვნელობა არ აქვს ადამიანის შემოსავალს, მობილური თითქმის ყველას აქვს.

სასურსათო კალათაში დაბალია ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წილი, საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი ამით ხელოვნურად არის შემცირებული. ერთი რამის გაკეთება უკვე შეუძლებელია - სასურსათო და არასასურსათო კომპონენტებს შორის პროპორციის გადახედვა.

სასურსათო კომპონენტზე მოდის და ეს უნდა შეიცვალოს. პირობითად, თუ ავიღებთ პროპორციებს 50-50-ზე, საარსებო მინიმუმი 70-80 ლარით გაიზრდება. ეს კი ახლოსაა 250-ლარიან მაჩვენებელთან, - აცხადებს სოსო არჩვაძე.

გიორგი პაპაშვილი

© ნაციონალურმა საგანგებოდაცვითმა სამსახურმა დააკოშლავა უკანონო საგარეო

ბასულის წლის აგვისტოში ლობოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის საქმის გამოძიება სსკ-ის 144-ე მუხლს ვერ გასცდა, რაც მიქვლად ხელში ჩაგდებას გულისხმობს.

გამოძიება სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს. თუმცა, გამოძიების წარმართვა მხოლოდ 144-ე მუხლის საფუძველზე არასაკმარისია და სახელმწიფო ვალდებულია, ცალკე ანარმოს გამოძიება შეიარაღებული დაჯგუფების წევრების სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით.

მანვე განმარტა, რომ უმჯობესია, გამოძიება პროკურატურამ ანარმოს, რადგან ლობოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას სწორედ შს სამინისტროს თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

ნირო ჯომარდიძე იმასაც აცხადებს, რომ საიას არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მიმდინარე საქმეში გარდაცვლილი პირთა ოჯახის წევრებს მინიჭებული არ აქვთ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი.

საზოგადოებრივი ისიც უნებია, ამ ეტაპზე რაიმე დამატებითი მტკიცებულება მოიპოვა თუ არა შსს-მ ლაფანყურის საქმესთან დაკავშირებით.



ჩიჩნები შურისძიებაზე არასდროს უარს არ იტყვიან.

ლაფანყურის საქმის გამოძიება მკაცრად ხელში ჩაგდებას მუხლს ვერ გასცდა!

აქვთ კიდევ რაიმე სახის მტკიცებულება, თუმცა, მათ არ აწვდიან.

საიამ ვერც იმის შესახებ მიიღო პასუხი, გამოძიებას დაკითხული ჰყავს თუ არა სპეცოპერაციის შემდეგ ცოცხლად გადარჩენილი პირები, გამოკვლეულია თუ არა შეიარაღებული ჯგუფის წევრთა მიერ საქართველოში შემოსვლისა და გასვლის საკითხები.

ჩვენ დაუკავშირდით ლაფანყურის სპეცოპერაციისას დალუპული ასლან მარგოშვილის მამას - მერაბ მარგოშვილს. მან ამ საქმის გამოძიების გაჭიანურება ასე ასახა: - წარმოიდგინეთ, ამ საქმეში რამხელა ხალხი იყო ჩარეული.

ლეს და, ფაქტობრივად, ახალ ხელისუფლებას ყველაფრის ნულიდან დაწყება მოუწია, რაც არც ისე ადვილია. ეს საქმე დროს მოითხოვს, სისწრაფე არაფრის მომტანია. მე ვიცი, რომ გამოძიებლები დღესაც და ღამესაც ასწორებენ, მუშაობენ და უახლოეს პერიოდში დამთავრდება ამ საქმის გამოძიება.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ გაჭიანურდა მათი დაზარალებულებად ცნობა, დალუპულის მამა განმარტავს, რომ, სანამ გამოძიება არ დამთავრდება, მათ დაზარალებულად ვერ ცნობენ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ თავდაპირველად საქმე სულ სხვა მუხლით იყო აღძრული.

ამიტომ, ვერ უნდა დამტკიცდეს, რომ მიქვლად აყვანა არ მომხდარა და სულ სხვა მიზეზით დასოცეს ასლანგარდები. მეტიც, დალუპული ასლან მარგოშვილის მამის თქმით, სულ სხვა ინტერესები იყო აქ ჩადებული: „ათასი ვინმეა დამნაშავე ამ საქმეში და, როცა მათ თავის გზას გაუყენებენ, ამის შემდეგ გამოჩნდება სიმართლე“.

ჩვენს შემთხვევაში, არასდროს უარს არ იტყვიან. დღესდღეობით საქართველოში ჩამოსვლა და შურისძიება მათთვის ძალიან ძნელია. ამის დროც მოვა. როცა ყველაფერი დამტკიცდება, თუ ვინ გაუკეთა ორგანიზება ამ ოპერაციას, იქ ნათლად გამოიკვეთება, რომ, პირველ რიგში, სააკაშვილის გარეშე ამას ვერ გააკეთებდნენ.

მარიამ ლოლაშვილი

© წინ, საქართველო!

ზვიად პატარიძე მსოფლიოს ჩემპიონია!

სირბულ ზრენიანში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე...

სი დუბრონი (5:3) და სერბი ვი-

რაც შეეხება ევროპირველობის...

გუშინვე საჭიდაო ხალიჩაზე და-



ნიეს. დღეს ბერძენ-რომაელები...

მანუარ გიორგაძე

© ფეხბურთი

ყაზახური მაღაროს გამონათება



ჩემპიონთა ლიგის პირველ საბ-

პრესტიჟული ევროტურნირის...

შეგახსენებთ, რომ ამ აზიურ...

თასის გათამაშების ოთხთა ფი-

ცნობისთვის: მაღაროელთა...

დანარჩენი შედეგები: „ლიონი“...

გიორგი შოთაძე

© კალათბურთი

ესპანეთი მოღუნდა და კინაღამ დაისაჯა

2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე...

გან 10-ქულიან ზღვარს ერთბაშად...

მიუხედავად ამისა, ბოლო სიტყვა...

ნბა-ში გამობრძანებულმა კალათ-

ესპანელთა გამარჯვება სწორედ...

მა იმარჯვეს (17:14), ჩაჭრებსა (10:8)

ჯერ არცერთი საკონტროლო...

ესპანეთი - მაკედონია 66:61 (21:13,

ესპანეთი: როდრიგესი (25 წ. 7 ქ. 5...

ვიტალი ჯაფარიძე



© ინტერნეტიდან

უარაპოვა გვარს ისვლის

ამერიკის შეერთებული შტატების...

შეგახსენებთ. „შუგარპოვა“ რუსი...

© რიტრო

„კარაველას“ რაინდები

დღეს ქართული კლუბები ევრო-

მართალია, ჩვენს თანამემამუ-

1973 წლის აგვისტო. ესპანეთის...

კიდევ უფრო მდიდარი ისტო-

ალსანიშნავია, რომ ამ ტურნი-



რის მოავრმა პრიზმა - „კარავე-

როცა 40 წლის წინანდელ ბა-

კერძოდ, ჩვენი პირველი მეტო-

აი, ასეთი მრისხანე ოპონენტს...

ბარაქალა მათ!

კაჟან დოლიძე



კუთარ“ გვარს ტურნირის დასრულებისთანავე...

შეგახსენებთ, აშშ-ის ღია საჩოგბურთო ჩემპიონ-

როსტომ რაჭველიშვილი

რაც თვალს არ გამოეპარა...

კაცი კროსგორდით ერთობა

ისევე ჩაღრმავებულია კროსგორდის სერგო ქაშიბაძე, ზის თავის „ბეგმევი“ ჩვენი კორპუსის წინ, ელოდება მუშტარს და უსაქმურობისგან, რომ არ ჩაეძინოს, კროსგორდის ამონსნით გაჰყავს დრო. კროსგორდის ამონსნა კი, მოგვსენებთ, განათლებასა და წინეინერებს მოითხოვს, რაც სერგოს, ეტყობა, არ აკლია. ადრე ერთ-ერთ სანარმოში მთავარ ინჟინრად უმუშავებდა, მაგრამ ეს სანარმო გაყიდულია და ჯან-ღონით საესე შუანის კაცი, სხვეთან ერთად უმუშევრად დარჩენილა. რამდენ ხანს შეიძლება ასე ყოფნა? ერთთავად, დაოჯახებულ ქალიშვილსა და ვაჟიშვილს ხომ არ შეაჩერდებოდა ისა და მისი მეუღლე?.. ერთხელაც უფროსმა ვაჟიშვილმა „ჯიპი“ შეიძინა და თავისი „ბეგმევი“ მამას გადაულოცა, ისეირნე ქალაქში. მისვდა სერგო, რასაც ნიშნავდა – „ისეირნე ქალაქში“, თავმოყვარეობას ვინლა დაეძებდა, ისედაც „გატაქსეული“ იყო მთელი თბილისი და სერგოც მიემატა მათ „ლაშქარს“. უკვე „ჩვენიანად“ მივიჩნევთ სერგოს! და რაღაცნაირად გესიამოვნებს კიდევ, თუკი ნაკლებად დგას იგი ჩვენი კორპუსის წინ. ესე იგი, ქალაქშია გასული, კლიენტისადღაც მიჰყავს და ერთ-ორ ლარს შოულობს. თუმცა, ძირითადად, მაინც უსაქმოდაა (მისთანა ტაქსისტი, ანუ კონკურენტი, ბარე ხუთი დგას ჩვენ კორპუსთან) სერგო და კროსგორდის კირკიტით გაჰყავს დრო.

სწრაფ გადაადგილებას, მაგრამ ეს ოხერი, უმეტეად ხომ, მაინც საჭიროების გამო გვსურს გავიგოთ, რა დროა?! ეტყობა, ბატონი ვახტანგის სტრიქონებს, კარგა ხანია, ცხოვრებაში ატარებს თბილისის მერია: ნაკლებად შეხედეთ საათს, რომ დიდხანს იცოცხლოთ! აბა, რას ნიშნავს ეს, მთელს რუსთაველის გამზირზე, პირველი სკოლის შენობის გარდა, საათს რომ ვერსად დაინახავთ?! კი დგას ოპერის შენობის გვერდით, რეზო ლალიძის ქუჩის დასაწყის-



ში, თუმცა, ზუსტ დროს არასდროს უჩვენებს, ამჟამად კი საერთოდ გაჩერებულია... რა მოხდა, ქალაქის მერია, რომ ამხელა გამზირზე ეს საათი მაინც ზუსტად მუშაობდეს? მოხსენით, ბატონო, საერთოდ და, ის იქნება!..

„სამაგალითო“ თბილისელი

— რა არი, კაცო, რა, ნაგავში ზინარო? — შემოგვიერთდა ბაღში, ძელსკამზე მსდომებს... რეზო, თან სიგარეტს აფუთავს, — ამათი დედა ვატირე, ოჯახში არ იზრდებიან? რა ამბავია ეს მზესუმზირის ჩენო, სიგარეტის ნამწვავები... ურნები მაინც დადგეს ამ ბაღში ყოველ ნაბიჯზე, ჩააგდე რა, ურნაში... არა, ტო, ჩვენი საშველი არ იქნება!.. ესეც მიშას ბრალია?! სისუფთავის დაცვა რომ საჭიროა, ამას რად უნდა ბევრი ლაილია?! გერმანელი ამას გააკეთებს თავის ქალაქში?! ამათი!.. — რეზო ერთხელაც გულიანად შეიგინა, მერე სიგარეტის ნამწვავი იქვე დააგდო და ჩვენს გვერდით პოლიტიკაზე სასაუბროდ ჩამოჯდა.

რომელი საათია?!

დრო ისედაც მიდის, ჩვენ კი, თითქოს, ვაჩქარებთ მის ქროლვას, საათზე მალი-მალ დახედვით, ქუჩებში, შენობებში საათზე შეხედვით. „ას წაილს იცოცხლდა საბადო, რაღვან არ ჰქონდა საბადო“, ირანულად გვარიგებს პოეტი ვახტანგ ჯავახიძე. კი, ბატონო, ცვლილობით, ნაკლებად შევხედოთ საათის ისრებს

შეყვარებული გვრიტი

მტრადს ჰგავს გვრიტი, ოღონდ, შედარებით პატარაა, ღია ყავისფერი. უფრო წყნარია. მტრედები რომ ბაღში ძელსკამზე ჩამომსდნარ ადამიანებს შინაურულად ექცევიან, ვესქვეშ უძვრებიან და ერთთავად საჭმელს ეძებენ, გვრიტი დარბაისლურად მოსიერობს, მეტწილად, მარტო დადის, ხანაც „ტოლსწორთან“ ერთად. ამან გამახსენა: ერთგან წავიქნობ, საოცარი ერთგულეება სცოდნია გვრიტს თავისი „თანამეცხედრის“ მიმართ. როდესაც წყვილიდან რომელიმე, პირველი კვდება, ცოცხლად დარჩენილი განმარტოვებით დაფრინავს, გამარტოვებით დადის, გუნდში არ ერევა, ანუ მგლოვიარეა. ის კი არა, როგორც წერენ, მგლოვიარე გვრიტი ჭუჭყიან სასმელ-საჭმელს ეტანება, რომ მალე მიეწიოს თავის „თანამეცხედრეს...“ გასაკვირია, არა?!

... აი, „მოსიერობენ“ ბაღში ორნი, წყნარად, მშვიდად... მტრედების თავაშვებულობას არად აგდებენ, მართლაც შეყვარებულებით მოდიან... დაილოცა ღმერთო, შენი გაჩენილი დედაბუნება!

ვილან მარღალიაშვილი

გიტყველი ციფრები

აზერბაიჯანი საქართველოს ინვესტიციების ტოპ სუთიულები უადის

„სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 15 აგვისტოს მონაცემებით, აზერბაიჯანი შედის იმ 5 ტოპ ქვეყანაში, რომელმაც საქართველოში 2012 წელს პირდაპირი ინვესტიციები განახორციელა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, საქართველოში, აზერბაიჯანის პირდაპირი ინვესტიციის მოცულობა 2012 წელს 59 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც ქვეყნის პირდაპირი ინვესტიციის 7 პროცენტს წარმოადგენს.



საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამი 911.6 მილიონი აშშ დოლარი გახლდათ და მასში 72 სახელმწიფო იყო ჩართული. სიას ლიდერობდა გერმანია საქართველოს ეკონომიკაში 138.8 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით (პირდაპირი ინვესტიციების 15%). მას მოყვება გაერთიანებული სამეფო 93.6 მილიონი აშშ დოლარით, ანუ მთლიანი ინვესტიციების 10%-ით, თურქეთი 81.1 მილიონი აშშ დოლარით (მთლიანი ინვესტიციების 9%) და საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციები 63.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რაც მთლიანი ინვესტიციების 7 პროცენტია.

ვესტიციების რაოდენობა 308.7 მილიონ აშშ დოლარს უდრიდა. ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს, როცა ის 138 მილიონი აშშ დოლარის ტოლი იყო. ყველაზე დაბალი სომხეთი, რომელსაც სავაჭრო ოპერაციებში 141.06 მილიონი აშშ დოლარი ეკავა (მთლიანი ექსპორტის 11.4 პროცენტი). ქართული საქონლის მესამე, უდიდესი იმპორტიორი გახლდათ აშშ 85.07 მილიონი აშშ დოლარით (6.9 პროცენტი). 2013 წლის იანვრიდან ივნისამდე მონაკვეთში საქართველოს მთლიანი ექსპორტი 1.24 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც 9%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით. 2013 წლის პირველ ნახევარში, აზერბაიჯანიდან საქართველოს იმპორტი 273.16 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ანგარიშის თანახმად აზერბაიჯანიდან საქართველოში იმპორტის მოცულობა 15.3%-ით შემცირდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, როცა საქართველომ აზერბაიჯანიდან 322.57 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტი განახორციელა. ამავდროულად, აზერბაიჯანი მეორე იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც საქართველოში ექსპორტს ასორციელებენ. საქართველოს მიერ იმპორტირებული საქონლის მთლიანი მოცულობაში აზერბაიჯანის იმპორტის მაჩვენებელი 7.9 პროცენტს უდრის. საქართველო იმპორტირებას ძირითადად თურქეთიდან ასდენს. 2013 წლის პირველ მონაკვეთში თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის ღირებულება იყო 610.87 მილიონი აშშ დოლარი, ანუ ქვეყნის მთლიანი იმპორტის 17.6 პროცენტი, რომლის მთლიანი ღირებულება 3.48 მილიარდის ტოლია.“

ნაზინ მადიშვილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძობს პარლამენტის ვიცე-სპიკერს ზვიად ძიძიგურს დედის ნაზი გუნიავა-ძიძიგურის გარდაცვალების გამო. უახლოესი მეგობრები გულგული მაისურაძე, ნუგზარ რუხაძე ოჯახებით იზიარებენ გურამ და გია ცაგარეიშვილების მწუხარებას ძვირფასი მეუღლისა და დედის ირა სინარულიძის გარდაცვალების გამო.

ალიან-ჩალიანი „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ჯედამხადველოვის სამსახური ამოწმებს რომლოც „ინტერბრენსის“ სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ნათია კახეთელიძემ განუცხადა, კომპანიაში, 19 აგვისტოს 17:30 საათზე, ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები შევიდნენ და ვითარების შესწავლა დაიწყეს. მისივე ინფორმაციით, ზედამხედველობის სამსახურმა კომპანიას დროებითი ადმინისტრაციული მმართველი, იურისტი ვლადიმერ ძირკველიშვილი ორი თვით დაუქირავა. — ზედამხედველობის სამსახური შემოვიდა შემონგებაზე, რაც იგეგმება სსვა სადაზღვევო კომპანიებშიც, რომლებიც სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობენ. ჩვენთან შემოსულია დროებითი ადმინისტრაციული მმართველი, რასაც ნამდვილად არ ველოდით. იმის გამო, რომ არ ველოდით მსგავს შემონგებას, ჩვენი გენერალური დირექტორი ნიკოლოზ რამიშვილი საქმიანი ვიზიტით იმყოფება ამერიკაში, მან შეწყვიტა ვიზიტი და საქართველოში ბრუნდებოდა. ასევე საკითხთან დაკავშირებით, საქართველოში ჩამოდიან ჩვენი კომპანიის აქციონერები, — განაცხადა ნათია კახეთელიძემ. მისივე ინფორმაციით, ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს ექვემდებარებოდა, თუმცა, არჩევნების შემდეგ იგი ცალკე სამსახურად ჩამოყალიბდა. ამასთან, სადაზღვევო კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე აცხადებს, რომ კომპანია მუშაობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს და დაზღვევულებს ემსახურება. კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ სახელმწიფო პროგრამითა და კორპორატიული დაზღვევის მქონე პირებს თბილისში, კახეთში და სენაკში ემსახურება. კომპანიაში სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულია რიცხვი 360 000 შეადგენს.

ზუბდიფი მოსამართლის ბინა გაშურდას ზუბდიფი, რაიონული სასამართლოს მოსამართლის დავით გელაშვილის საცხოვრებელი სახლი გაქურდეს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ბინიდან, რომელიც გელაშვილს ნაქირავები აქვს, წაღებულია მოსამართლის პირადი და საოჯახო ნივთები, ტანსაცმელი. მოსამართლის ბინის გაქურდვის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

უსს-მ სავსესასროლი იარაღისა და ნარკოტიკების შექმნა-შენახვის ფაქტზე სამი პირი დააკავა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საბურთალოს ქუჩაზე სამი პირი: 1988 წელს დაბადებული ლუკა გ. — ცეცხლსასროლი იარაღის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით, სოლო 1981 წელს დაბადებული გიორგი ს. და 1985 წელს დაბადებული ლაშა ს. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, ე.წ. „ნარკოკომის“, შესახებ მიღებული შეტყობინების გადამოწმებისას, საბურთალოს ქუჩაზე, ლუკა გ-ს კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში სტუმრად მყოფი გიორგი ს. უგონო მდგომარეობაში დახვდათ. იგი სასარგავო-სამედიცინო დასმარების ბრიგადამ „ემერჯენსის“ კლინიკაში გადაიყვანა. აღნიშნულ ბინაში ასევე იმყოფებოდნენ თავად ლუკა გ. და ლაშა ს., რომლებიც ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმის“ ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ლუკა გ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „კოლტის“, და „სტენჯინის“, მოდელის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და 2 ერთჯერადი შპრიცი ამოიღეს, რომლებშიც 0,0321 გრ „პეროინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება იყო მოთავსებული. გამოძიებას აწარმოებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახური.

არადეკლარირებული ოქროს ნივთები ჩამოართვის საბაბში გამშვებ პუნქტ „გეგუთზე“ ბელორუსის მოქალაქეს არადეკლარირებული ოქროს ნივთები აღმოაჩნდა. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ბელორუსის მოქალაქე ი.ხ.სომხეთის მხრიდან შემოვიდა. — საბაბო პროცედურების გაგლისას, მოქალაქეს აღმოაჩნდა არადეკლარირებული ოქროს ნივთები, კერძოდ: ბეჭედი — 3 ცალი, ჯვარი — 2 ცალი, სამაჯური — 1 ცალი, საყურე — 1 წველი, გულსაბნევი — 2 ცალი, ყელსაბამი — 1 ცალი, კულონი — 1 ცალი; საერთო წონით 81,09 გრამი. არადეკლარირებული ოქროს ნივთების საერთო ღირებულებამ 3692,29 ლარი შეადგინა, — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში. მათივე ცნობით, აღნიშნული სამართალდარღვევის გამო ბელორუსის მოქალაქე ი.ხ.-ს სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 3692,29 ლარის ოდენობით. ინტერპრესი

მოსავალი სივრცე

მკოლმეობრივად სუთხა მოსავლის მთელი წლის განმავლობაში მიღების სერვისი, რომელიც კიეველმა პენსიონერმა - გამოზრდილობის ლეონიდი დიმიტროვ მოიფიქრა, მარტივი და ეკონომიურია.



— არაუმეტეს 15 გრადუსისა. თუ ტემპერატურა მეტი იქნება, გაიზრდება ძალიან მაღალი ღერო და ქვეითდება დიდი ნაყოფის მიღების შანსი“.

გამომგონებელმა დაინგარიშა, რომ 1 კილოგრამი პომიდვრის მისაღებად მის ვერტიკალურ კვლევებზე ყველაზე ცივ, ბნელ თვეებში — ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში — იხარჯება 3,3 კილოვატ-საათი ელექტროენერგია. მათი თვითღირებულება ნედლეულისა და შრომითი დანახარჯების ჩათვლით, შეადგენს კილოგრამზე 1 გრივანზე ნაკლებს. დიმიტროვ კონსტრუქციებში 1 კვადრატული მეტრიდან ის 200 კილოგრამ პომიდვრს ღებულობს, კიტრს კი — 400 კილოგრამს.

ასეთ სათბურში ზამთარშიც კი, შეგიძლია გამოზარდო ხენდრო, ბოლოკი, მწვანელი და ყურძენი. ყოველი კულტურისათვის ამზადებენ „ინდივიდუალურ“ კვლევებს.

„ეს ენერგოეფექტიური მოდული სათბურები და მოწყობილობა იძლევა შესაძლებლობას მივიღოთ ხენდროს მოსავალი თებერვალში, — ამბობს დიმიტროვ — თანაც ჩემი კონსტრუქციები ძალიან უსაფრთხოა და იმდენი სივრცეა, რომ მთელი წლის განმავლობაში შეიძლება უწყვეტად იყოს მოსავალი“.

დიმიტროვ — თანაც ჩემი კონსტრუქციები ძალიან უსაფრთხოა და იმდენი სივრცეა, რომ მთელი წლის განმავლობაში შეიძლება უწყვეტად იყოს მოსავალი“.

სოჭო დახმარად

მთელი თავისი პროდუქცია დიმიტროვს მოჰყავს ქიმიკატების გარეშე ამისთვის ის ზრდის მცენარეთა იმუნიტეტს, დასათესად გამზადებულ კარტოფილს ამუშავებს მანგანუმითა და შინაბანით. და ელექტრომუხტებით. ბოლქვებს, რომლებსაც დენმა „დაარტყა“, შემდეგ სოჭოები არ ჭამენ. სამაგიეროდ უფრო გვიანდელ ელორტებს ეს ზოლიანი მანებელი დიდი მადით მთლიანად ანადგურებს, რითაც, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ზრდის მოსავლიანობას წამოწმობს ფოთლები ხომ ბოლქვებს არ ართმევენ საკვებ ნივთიერებებს. და თუ ჩვეულებრივად ბოსტნებში გლეხები 250-300 კილოგრამ კარტოფილს იღებენ ჰექტრის მე-ასედიდან, დიმიტროვ იღებს 400 კილოგრამს. ის დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი მცენარე გახდება უფრო მაგარი, მყარი დაავადებებისა და მანებლების მიმართ და უფრო მოსავლიანი, თუ მასზე ან მისზე მის გარშემო მოვასდენთ ელექტროგანმუხტვებს.

დიმიტროვს აგარარული ნოუ-ჰაუები მან 20 წლის წინათ გამოიგონა. ამ პერიოდში ისინი მრავალგზის გამოიყენა პრაქტიკაში, მთელი წლის განმავლობაში მოჰყავდა ვიტამინიანი პროდუქცია შეილიშვილებისათვის. ძალიან წუხს, რომ გამოგონებანი გამოადგას მხოლოდ მისი პირადი სარგებლობისათვის და ნაცნობი ფერმერების საჭიროებისათვის.

1990 წელს შეეცადნენ დიმიტროვს სათბურები ვერტიკალური კვლებით დაენერგათ უკრაინის აგარარულ სექტორში სახელმწიფო დონეზე, რაზეც იგეგმებოდა 5 მილიონი რუბლის გამოყოფა, მაგრამ იმ წლების ბოლოქარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მეორე პლანზე გადასწიეს ეკონომიკა, და ფული დასანერგად ვერ მოიძიეს.

ჩვენი პრესდაიჯესტი



„იზიარება საბი სერიოზული ფიგურის მატაცება, აქიდან ორი პანკირია, ერთი კი — ბიკინა იზანიშვილის კარავი გავლენიანი პოლიტიკოსი“

ეს არის „ალიას“ წყაროს ცნობა. ამ საქმეში „ნაცების“ ფარული ხელი ფათურობს. გააქტიურებულია ნიკა რურუას დაჯგუფება, ასევე, არის ინფორმაცია, რომ მოლაპარაკება მიდის პარტიზანებთან. თბილისში უკვე საუბრობენ ძველი მხედრობის დაბრუნებაზე, რომლებიც წინა მთავრობის დროს სააკაშვილს გაექცნენ და მიმალვაში იყვნენ. მეორე მხრივ საუბარია, რომ აქტიურობს კოდუას კლანი. ეს დაჯგუფებები ძლიერდებიან და ქვეყანას რომ ხეირს არ მოუტანენ, ცხადია.

„პალია“

„პითარება სასწრაფოდ თუ არ გამოსწორდა, მალე დაავადებულ ერაღ ვიძცივით“

— აცხადებს ექიმი-ინფექციონისტი გელა კაპანაძე, — ჩვენი სასმელები ვერავითარ კონტროლს ვერ უძლებს. შეიძინეთ სხვადასხვა წარმოების ქართული არაყი. ლაბორატორიული შემოწმების გარეშეც კი, დაყნოსვითა და დაგემოვნებითაც დაადგენთ, რომ სინამდვილეში, ეს არაყი კი არა, რაღაც გაურკვეველი სითხეა, რომელსაც ამიაკის, აცეტონისა და კიდევ რაღაც ქიმიური შენაერთების სუნის ასდის. იგივე მდგომარეობა გვაქვს ქართულ ლენილზეც. ვითარება სასწრაფოდ თუ არ გამოსწორდა, მალე დაავადებულ ერაღ ვიძცივით, რადგან ალკოჰოლთან ერთად დიდი რაოდენობით შხამსაც ვიღებთ.

„პირსია“

ადვოკატი სახელმწიფოს სამილიონ ლარს სთხოვს

საბაპშვილის რეჟიმისგან დევნილი ადვოკატი თამილა ქუთათელაძე, რომელიც წელიწადი და შვიდი თვის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს. ამის შესახებ განცხადებას ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიასვილი ავრცელებს. კერძოდ იგი ამბობს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ბინძური საქმე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა შეითხნა ადვოკატთა კორპუსთან მიმართებაში, იყო ადვოკატ თამილა ქუთათელაძის უკანონო პატიმრობა. ხატიასვილი იმედოვნებს, რომ მათი მოთხოვნა იქნება დაკმაყოფილებული, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას.

„პაპალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



უკრაინელმა გამოგონებელმა იცის, როგორ გამოკვების მთელი მსოფლიო

შემდეგ ყვავილები და ნასკვები ღებულობენ შუქსა და სითბოს ავტომობილის ტალოგენური ნათურებისაგან. მთელი კონსტრუქცია, რომელსაც პატარა ფართობი უკავია, დაფარულია აპკის ფენით. ასეთი კომპაქტური ნაკვებობის გათბობა მოითხოვს იმის ნახევარზე ნაკლებ ენერგოსარგებს, რაც საჭიროა ჩვეულებრივ სათბურში მიკროკლიმატის შესაქმნელად. მასსადაამე, ნაკლებია მასში გამოყვანილის თვითღირებულება.



„კვალსათბურებსა და სათბურებში ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები უზრუნველყოფენ მეტად მაღალ ტემპერატურას და მაქსიმალურ ტენიანობას, — ამბობს ლეონიდი დიმიტროვ. — ეს სითბოს არასწორი ხარჯვაა. ასეთი სიცხე სრულიადაც არ სჭირდება ჩვენს მცენარეებს. მაგალითისთვის ავიღოთ პომიდორი. თესლი რომ ამოვიდეს, საჭიროა 25 გრადუსი ტემპერატურა. შემდეგ კი, როდესაც იწყება ჩითილის აქტიური ზრდა, ფესვებს სჭირდებათ 9-12 გრადუსი ტემპერატურა, მთელ მიწისზედა ნაწილს

ციცხვალ ანაკლოტაბი

— საშხარელო, დედაშენი წყალქვეშა ცურვის სექციაზე ჩავსერე — ეუბნება სამსახურიდან დაბრუნებული ქმარი ცოლს. — კი მაგრამ, ის ხომ პარაშუთით სტომაზე დადის? — იქ არაფერი ხეირია, ასჯერ გადმობტა და ფხიც კი არ უღრძვია.

— ძმირწახსო, ისეთი წვნიანია, სჯობდა ასი ლიტრი მაინც მოგეზადებინა: — რა, ასე ძალიან მოგეწონა? — მომეწონა კი არა, იქნებ ნაკლებად მლაშე გამოსულიყო.

— რატომ არ ატარებ ჩვენი ნიშნობის ბეჭედს? — ეკითხება ცოლი ქმარს. — ამ გაგანია სიცხეში?

მინომ ცირკთან შიშველი, ხეზე მიწოლილი ქალი დაინახა. — აბა, სამამდე დაითვალე? — ერთი, ორი, სამი. — ახლა უკუღმა. — სამი, ორი, ერთი. — ვაი, ასეთი ნიჭიერი ნეტა ვიღამ გამოგადო ა? — გაცოცხა მისო.

— ჩემო პაწაწუნა, ჩემო ციცქნა, ჩემო გაჩხიკულო... — ეფერება მარო მისოს საწოლში. — გაჩე შე შობელძაღლო, ძლივს სასიათზე მოველ და...

— მისო, ჩვენი გოგო ამ ბოლო დროს მჭავეს მიეტანა, ვფიქრობ რაღაცის ნაკლებობა აქვს. — ტვიინის ნაკლებობა აქ მაგ შობელძაღლს, ამაზე ადრე უნდა გეფიქრა.

Advertisement for Sakartvelos Respublika newspaper, including contact information, subscription rates, and a barcode.